

501
1982

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენისა
სახელმწიფო-სამეურნეო ინსტიტუტი



ქართული
სსრ-ის

МИНИСТЕРСТВО СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА СССР
Грузинский ордена Трудового Красного Знамени
сельскохозяйственный институт

სამეცნიერო შრომები. № 3 (125), НАУЧНЫЕ ТРУДЫ

თუთის ხისა და თუთის აბრეშუმსკვირას
პროდუქტიულობის გადიდების გზები
ПУТИ ПОВЫШЕНИЯ ПРОДУКТИВНОСТИ
ШЕЛКОВИЦЫ И ТУТОВОГО
ШЕЛКОПРЯДА

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი



МИНИСТЕРСТВО СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА СССР
Грузинский ордена Трудового Красного Знамени
сельскохозяйственный институт

სამეცნიერო შრომები. № 3 (125), НАУЧНЫЕ ТРУДЫ

თუთის ხისა და თუთის აბრეშუმსხვეპიას
პროდუქტიულობის გადიდების გზები
ПУТИ ПОВЫШЕНИЯ ПРОДУКТИВНОСТИ
ШЕЛКОВИЦЫ И ТУТОВОГО
ШЕЛКОПРЯДА

51



ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრებულის მასალები განხილულია შეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე და მოწონებულია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ.

Материалы сборника рассмотрены на Ученом Совете учебно-исследовательского факультета шелководства и одобрены Ученым советом Грузинского сельскохозяйственного института.

მთავარი რედაქტორი აკად. ვ. მეტრეველი

სარედაქციო კოლეგია: სოფლის მეურნ. მეცნ. კანდ. ე. ბაბურაშვილი, ჯ. ბობოხიძე (პ/გ მდივანი), პროფ. ი. დოლიძე, დოც. გ. ზვიადაძე (მთა რედ. მოადგილე), პროფ. გ. ნიკოლეიშვილი, დოც. ა. ძნელაძე

Главный редактор академ. ВАСХНИЛ В. И. Метрели

Редакционная коллегия: канд. с/х наук Э. И. Бабурашвили, Дж. П. Бобохидзе (отв. секретарь), доц. А. Н. Дзneladze, проф. И. М. Долидзе, доц. Г. Э. Звიაдадзе (зам. гл. редактора), проф. Г. В. Николейшвили.



УДК 638.23

ბ. ზვიადაძე, უ. მოკრაშვილი,
ლ. ზაპარაიშვილი, ნ. ქაშთარაძე

17390

თუთის აბრეშუმის მუხის (*Bombyx mori* L.) მავანიზაჟულ დანადგარზე
გამოკვების პირველი შედეგები

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავ-
ლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნის-
ტური პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარ-
ებას. მეურნეობებზე ხელწოდებით სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან
ერთად მნიშვნელოვნად განვითარდება მებარეშუმეობაც.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე პირობებში ქიმიური მრეწვე-
ლობა დიდ შესაძლებლობას ქმნის სხვადასხვა სახის იაფფასიანი და მა-
ღალხარისხოვანი სინთეზური ბოჭკოების ფართო მასშტაბით წარმოებისა-
დვის, ნატურალური აბრეშუმი თავისი საუკეთესო ჰიგიენური და ფიზი-
კურ-ქიმიური თვისებების გამო ჯერ კიდევ შეუცვლელი ნედლეულია სა-
ფეიქრო მრეწველობაში. იგი გამოირჩევა სიმაგრით, ჰიმვადობით და დი-
დი სითბოგამძლეობით.

საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს
1974 და შემდგომი წლების დადგენილებებში გამოკვეთილია მებარეშუ-
მეობ.ს დარგის ინდუსტრიულ საწყისებზე გადაყვანის აუცილებლობა.

მეტად პასუხსაგები ამოცანა დგას ჩვენი რესპუბლიკის მებარეშუმე-
ობის დარგის მუშაობა წინაშე: პარკის მოსავლის გაზრდა და მისი ხარის-
ხის მკვეთრად გაუმჯობესება.

საქართველოს მებარეშუმეობის წინაშე დასმული ამოცანა საკმაოდ
რთული და საპატიოა, რაც მებარეშუმეობისა და ამ დარგის სპეციალის-
ტების დაძაბული შრომის გარდა მოითხოვს თუთის დაავადებისადმი შე-
დარებით გამძლე ჯიშების გავრცელებას, თუთის ფოთლის ხარისხის გა-
უმჯობესებას, წარმოებაში აბრეშუმის ჭიის მაღალპროდუქტიული ჯიშ-
ებისა და ჰიბრიდების მეტი რაოდენობით დანერგვას, ჭიის კვების შრომა-
ტველი პროცესების მექანიზაციის დონის ამაღლებას, აბრეშუმის ჭიის

გამოკვების აგროტექნიკის შესწავლა-დაზუსტებას მექანიზებული გამოკვებისას და პრაქტიკაში მის დანერგვას.



მეაბრეშუმეობაში ჭიის გამოკვების შრომატევადი მარცხენა მხარის სრულიად არ შეცვლილა და თითქმის ისეთსავე ხასიათს ატარებს, რაც თავიდანვე ჰქონდა. სახელდობრ, რესპუბლიკაში დამზადებული პარკი თითქმის მთლიანად ინდივიდუალურ სექტორზე მოდის. მეაბრეშუმეებს საკუთარ ბინებში უხდებათ ჭიის კვება და ხელით შრომაზე დაყრდნობა. მაშინ როდესაც მეცხოველეობისა და მეფრინველეობის პროდუქტების წარმოება საკმაოდ მაღალ ინდუსტრიულ საფუძველს ემყარება.

აბრეშუმის პარკის წარმოების მექანიზაცია ძირითადად შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: ფოთლის დამზადება და საკვების მომზადება, აბრეშუმის ჭიის გამოკვება და ნაძირის გამოცლა, პარკის ჩამოხსნა, ნაპერტყელისაგან გაწმენდა და პირველადი დახარისხება.

აბრეშუმის ჭიის გამოკვების შრომატევადი პროცესების მექანიზაციის საქმეში დიდი მიღწევებით გამოირჩევიან იაპონელები. მათ შექმნილი აქვთ აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები მექანიზებული დანადგარები, მოწყობილობები, როგორც დაბალი, ისე მაღალი ასაკის ჭიებისათვის, რომლებზეც საკვების მიწოდება და ნაძირის გამოცლა ავტომატურად ხდება.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირში ანალოგიურ მუშაობას პირველად საქართველოს მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ჯერ კიდევ 30-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი.

ამჟამად აბრეშუმის ჭიის მექანიზებული გამოკვების პრობლემებზე მუშაობენ შუა აზიისა და აზერბაიჯანის მეაბრეშუმეობის, მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და უკრაინის მეაბრეშუმეობის საცდელი სადგური. ხუთ წელზე მეტი ხნის წინათ შუა აზიაში და უკრაინაში საწარმოო გამოცდას გადიოდა აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები დანადგარი „ВВН-12“, რომელიც შექმნილია პროფესორ ს. მ. სარჭისიანის პროექტით. მასზე იკვებება 12 კოლოფი აბრეშუმის ჭია. აღნიშნულ დანადგარზე ნაძირის გამოცლა, საკვების მიწოდება, ასევე საჭივ შენობაში მიკროკლიმატის დამყარება ავტომატიზებულია, მაგრამ წარმოებაში მისი დანერგვა ვერ მოხერხდა დანადგარის დიდი ზომის გაბარიტების გამო.

ჩვენ მიერ 1977 წელს გამოიცადა მეაბრეშუმეობის ფაკულტეტზე შექმნილი აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები დანადგარი ВВН-1, რომელიც

წარმოადგენს მბრუნავ კონსტრუქციას, რომლის დისკზედაც გამოსაკვები თაროები.

ჩვენს ძირითად მიზანს წარმოადგენდა, შეგვესწავლა თუ რა ნაშრომის ნაშთი დაზარადა დაზარადა ვიზი-1-ის მოსარობა, ბრუნვა აბრეშუმის ბიოლოგიურ და პარკის ტექნოლოგიურ მაჩვენებლებზე. ეს მონაცემები საფუძვლად დაედო აბრეშუმის ჭიის შექანიზებული გამოკვების აგრო-ტექნიკის შემუშავებას.

კვლევის ობიექტად აღებულ იქნა წარმოებაში ფართოდ დანერგილი თუთის აბრეშუმხვევიას ჰიბრიდი „თბილისური X ივერია“.

ვრენის ინკუბაცია ჩატარდა აგროწესების შესაბამისად.

როგორც საცდელი (VBI-1), ისე საკონტროლო ვარიანტისათვის აღებულ იქნა ერთ დღეს გამოსული აბრეშუმის ჭია, 10 გრამის რაოდენობით. I—II—III ასაკებში აბრეშუმის ჭიის გამოკვება, საცდელი და საკონტროლო ვარიანტებისა ჩატარდა ერთად ცალკე საჭიეში. IV ასაკიდან აბრეშუმის ჭია გადაყვანილი იქნა სპეციალურ საჭიეში და დაიყო ვარიანტებად. ჭიების ნაწილი (6400 ცალი) მოთავსდა საცდელ დანადგარზე (VBI-1), თითო კასეტაზე, რომლის ფართობია 0,75 მ², 400 ცალი. საკონტროლო აღებული იქნა ჩვეულებრივი თაროდები, რომლისთვისაც სპეციალურად დავამზადეთ 0,75 მ² ფართობის თაროები, რომელზედაც მოვათავსეთ ჭიების იგივე რაოდენობა (400) სულ 3200 ცალი. VI ასაკის მეორე დღეს ჭია დაიყო სქესად. ჭიის კვება ტარდებოდა სქემაში აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით.

პარკის ასახვევად მომწიფებული ჭიები, საცდელ და საკონტროლო ვარიანტებიდან, ნაწილი ცახით, ნაწილი კი ხელით გადავიტანეთ პარკის ასახვევ ოთახში, სადაც დამთავრდა პარკის ახვევა. კვებისას და პარკის ახვევის დროს საცდელ და საკონტროლო ვარიანტების გარემო პირობები ერთნაირი იყო.

პარკის ასახვევად და გადასაყვანად გამოცდილი იქნა ბუნებრივი (კერპეი), ხელოვნური შუა აზიის მიერ დამზადებული პლასტმასის და ჩვენ მიერ დამზადებული ხელოვნური პლასტმასის თანაბარდანიყოფებიანი ცახები.

ტემპერატურისა და ტენის აღრიცხვა წარმოებდა დღეში 3-ჯერ (8—14—20 სთ), აღრიცხული იქნა აგრეთვე ჭიის მასობრივად გამოსვლის, კანის ცვლის და ცახზე ასვლის თარიღი.

პარკის ტექნოლოგიური მაჩვენებლები განისაზღვრა პარკის პირველადი დამუშავებისა და აბრეშუმის ტექნოლოგიის ლაბორატორიაში. პარკის და ძაფის ტექნოლოგიური თვისებების შესწავლა ჩატარდა ექსპერიმენტულ და სამრეწველო ტიპის ძაფსაღებ დაზგაზე პარკის ამოხვევით. თუთის აბრეშუმხვევიას ბიოლოგიური და პარკის ტექნოლოგიური მაჩვენებლები მოცემულია 1-ელ ცხრილში. ერთი გამოკვების მონაცემე-




ბით შეიძლება ითქვას, რომ აბრეშუმის ჭიის ბიოლოგიური ც. პარკის ტექნოლოგიური მაჩვენებლები საკონტროლო და საცდელ ვარიანტში თი-
 ექმის თანაბარია და დანადგარ VBIII-1-ის მოძრაობას შეეხებულა ამ
 ნაჩვენებლებზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია. გავლენა არ
 გარზე ჭიის გამოკვების შექანიზაცია ძირითადად განისხილება აბრეშუ-
 მის ჭიის მიყვანით საკვებთან. ამ დროს გაიოლებულია ჭიის კვება. პირ-
 ველ ხანებში ჭიის კვება წარმოებდა სპეციალური საკვები ბუნკერით.
 მაგრამ შემდგომში საკვები ბუნკერის მთელი რიგი უარყოფითი მხარე-
 ბის გამო, ჭიის საკვები ეძლეოდა ხელით.

საჭიეში სათანადო ტემპერატურა რეგულირდებოდა ავტომატურად,

მაჩვენებლები		თუთის აბრეშუმხვევის ასაკი				
		I	II	III	IV	V
ტემპერატურა	16 სთ. განმავლობაში	25—27	25—27	25—27	24—25	24—25
	8 სთ. განმავლობაში	20—22	20—22	20—22	21—23	21—23
ტენიანობა		95	90	85	70—75	70—75
ჰაერაცია		ჰაერის მუდმივი ცირკულაცია				
კვების ჭერი		5	4	4	4	3
თუთის ჯიშე		ქ ი ბ რ ი დ ე ლ ა				
საკვებად მიწოდებული ფოთლის სახე		წვრილად დაჭრილი	დაჭრილი	შუაზე გაჭრილი	მთლიანი ფოთილი	
ტოტზე ფოთლის მდებარეობა		წვეროს ფოთილი		ტოტის ზედა ნახევრის	მთლიანი ტოტის	
ნაძირის გამოცლა		—	1	2	2	3
განათება საათებში		18	18	18	ჩვეულებრივი პირობები	
საჭიეს დასუფთავება		საჭიეოების მისვლით				
პარკის ახვევა		—	—	—	—	24—25

აბრეშუმის ჭიის ბიოლოგიური და პარკის ტექნოლოგიური შარვენებლები
(N VIII—1, გაზაფხული, 1977)



№№ რიგზე	ვარაუდის დასახელება	გამოკვეთის ხანგრძლივობა დღეებში				ჭიის სიცოცხლის უნარიანობა %		გაბოსავლიანობა %				ამბვევის უნარიანობა %	ძაფის სიგრძე მ	ძაფის შეტრული ნომერი	
		26	98,0	2,1	4,5	ცოცხალი პარკიდან		პატრემარა პარკიდან		აბრეშუმი	ხამი				ძაფი
						ცოცხალი პარკის საშუალო წონა, გ	პარკის მოსავლი 1 მ. ჭიებზე, კგ	აბრეშუმი	ხამი						
1	კონტროლი	26	98,0	2,1	4,5	18,97	16,87	45,00	40,03	68,98	1189	3427			
2	სადელო	26	98,0	2,2	4,7	19,14	16,74	45,26	35,59	87,47	1273	3276			

რამაც დადებითი გავლენა მოახდინა აბრეშუმის ჭიის ზრდა-განვითარებაზე. აუცილებელია შემდგომში მოხდეს ტენის ავტომატური რეგულირება, რაც უფრო ხელსაყრელ სასიცოცხლო პირობებს შეუქმნის აბრეშუმის ჭიას, რის შედეგად გაიზრდება მისი პროდუქტიულობა. ცახების გავლენა პარკის ხარისხზე მოტანილია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

ცახების გავლენა, პარკის ხარისხზე

№№ რიგზე	ცახის სახე	ცოცხალი პარკის რაოდენობა სულ		ხარისხიანი ნარევი		დომფალი		ტყეიანი		დომფალი და ტყეიანი	
		ცალი	%	ცალი	%	ცალი	%	ცალი	%	ცალი	%
1	ბუნებრივი-კერძევა (კონტროლი)	81	100	70	86,4	3	3,7	8	9,9	11	13,6
2	ხელოვნური შუა აზიის	233	100	206	88,4	24	10,3	3	1,3	27	11,6
3	ხელოვნური თანაბარდანაყოფებიანი	104	130	102	98,1	2	1,9	0	0	2	1,9

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე კარგ შედეგს იძლევა თანაბარდანაყოფებიანი ცახი, სადაც ხარისხიანი პარკი 98,1%-ს შეადგენს ნაცვლად 86,4%-სა საკონტროლოში, დომფალი პარკის რაოდენობა 1,9%-სა

ნაცვლად 3,7%-ის, ტყეჩიანი პარკის რაოდენობა გამორჩეულად მაშინ
როდესაც საკონტროლოში იგი უდრის 9,9%-ს.

საერთოდ თანაბარდანაყოფებიან ცახში დომჟალი **ერყენული**
კის რაოდენობა შეადგენს 1,9%-ს, საკონტროლოში კი — 13,6%-ს, რაც
ნათლად მიუთითებს თანაბარდანაყოფებიანი ცახების უპირატესობაზე.

რაც შეეხება შუა აზიის მიერ დამზადებულ ცახს აქ დომჟალი პარკ
კის რაოდენობა საგრძნობლად გაზრდილია (10,3% ნაცვლად 3,7%-ისა
საკონტროლოში), რაც გამოწვეულია იმით, რომ ცახზე ასული ჭიების
50%-ზე მეტი ახვევს ცახის ზედა 1/3 ნაწილში.

დასკვნა

1. დანადგარ VBIII-1-ის მოძრაობა, მისი ბრუნვა უარყოფით გავ
ლენას არ ახდენს აბრეშუმის ჭიის ბიოლოგიურ და პარკის ტექნოლოგი
ურ მაჩვენებლებზე.

2. ჩვენ მიერ გამოცდილი ცახებიდან უკეთეს შედეგს იძლევა თანა
ბარდანაყოფებიანი პლასტმასის ცახი, საჭიროა მისი ზომების დაზუსტე
ბა, რითაც დომჟალიანობა მინიმუმამდე იქნება დაყვანილი და მიიღება
თანაბარი სიდიდის პარკი, რასაც აბრეშუმის ძაფსაღები წარმოებისათვის
გადამწვეტი მნიშვნელობა აქვს.



УДК 638.22:631.171.

ა. მნელაძე, ვ. ლევაკა, ვ. მაისურაძე,
ლ. ნოზაძე, ც. ტაბლიაშვილი

**თუთის აბრეშუმის მუხრანის საჯიშო პარკის გამორჩევა
პოლუსაზე გარსის სიმკვრივის შემოწმებით**

გამრავლების სხვადასხვა ეტაპებზე საჯიშე მასალის გამორჩევის ეფექტური მეთოდების გამოყენებას უპირატესად დიდი მნიშვნელობა აქვს თუთის აბრეშუმხვევიას ცხოველყოფილობისა და პროდუქტიულობის გაუმჯობესებისათვის, გამორჩევის ისეთი მეთოდები ითვლება ეფექტურად, რომლებიც ხელს უწყობენ მემკვიდრული ნიშან-თვისებების შენარჩუნებას და გამრავლების ყველა ეტაპზე თაობებში გადაცემას.

ჩვენს რესპუბლიკაში მებარეშუმეობის ხაზით საჯიშე სასელექციო მუშაობის სამწლიანი სქემა მიღებული, რაც გულისხმობს გამრავლების პირველ ეტაპებზე საწყისი მასალისა და სუპერელიტური გრენის დამზადებას ოჯახობრივი გამოცეებითა და ინდივიდუალური გამორჩევით. ამ შემთხვევაში გამორჩევის ერთ-ერთ მთავარ ნიშანს ცოცხალი პარკის აბრეშუმშიანობა წარმოადგენს, რომელიც ძლიერ კორელაციურ დამოკიდებულებას აქვს პარკის აბრეშუმშიანობასთან და მის მიხედვით ინდივიდთა გამორჩევა აკმაყოფილებს სასელექციო მუშაობის მოთხოვნილებას შემდგომ თაობაში სათანადო ეფექტის მისაღებად. [25].


გამრავლების პირველ ეტაპებზე აბრეშუმშიანობის განსაზღვრა მართალია ობიექტური მეთოდით წარმოებს, მაგრამ ამ მიზნით ერთ შემთხვევაში საჭიროა პარკის ინდივიდუალურად აწონა, გარსის გაჭრა, კუპრის ამოღება, გარსის ცალკე აწონა და აბრეშუმშიანობის დადგენა. მეორე შემთხვევაში კი პარკის ინდივიდუალურად აწონის შემდეგ, ინდივიდუალურ პარკსახვევ დაზგაზე მისი ამოხვევა და ამოხვევის პროდუქტების მიხედვით აბრეშუმშიანობის დადგენა, ორივე შემთხვევაში ყველა სამუშაოები ხელით სრულდება და დიდ შრომით დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ამასთან, რაც მთავარია, ვერ ესწრება ამ სამუშაოთა შეზღუ-



დულ ვადებში შესრულება, რითაც დიდად ეშლება ხელი პათოლოგიის ნორმალურად ჩატარებას და ხარისხიანი საჭიმე გრენის დამსახურებას. ამ ხარვეზის გამოსწორება შეიძლება თუ საჭიმე მასალის ტექნოლოგიური წარმოებით არა უშუალოდ აბრეშუმთანობის გამოთვლებზე, არამედ დაპირი ნიშნით. ცოცხალი პარკის გარსის სიმკვრივის განსაზღვრით, რადგან გარსის სიმკვრივე პირდაპირ კორელაციურ კავშირშია აბრეშუმთანობასთან. რაც უფრო მკვრივია პარკის გარსი მით უფრო მეტი აბრეშუმის შემცველია იგი. თავის მხრივ აბრეშუმთანობა მაღალი მემკვიდრეობის კოეფიციენტით ხასიათდება და დიდ როლს ასრულებს გამორჩევის ეფექტიურობის გაზრდის საქმეში, ცხოველებსა და მცენარეებში მრავალი მაგალითი მოიპოვება გამორჩევის გზით სასარგებლო-სამეურნეო ნიშანთვისებათა გაძლიერების შესახებ, რაც კარგად ვლინდება თეთის აბრეშუმხვევის მაგალითზე [8].

გამოკვლევებით დადგენილია აგრეთვე, რომ პარკის გარსის სიმკვრივე დადებით კორელაციურ ურთიერთობაში იმყოფება არა მარტო აბრეშუმთანობასთან ($r=0.72-0.92$), არამედ პარკის ისეთ ტექნოლოგიურ მაჩვენებლებთან, როგორცაა: ძაფის გამოსავალი, ამოხვევის უნარიანობა, ძაფის სიგრძე და მეტრული ნომერი [20, 15].

ცოცხალი პარკის გარსის სიმკვრივის განსაზღვრისათვის პირველი აპარატი სკლერომეტრის სახელწოდებით შეიქმნა ჯერ კიდევ 1934 წელს




6. ბ-1


პროფ. ლ. ჰიგორინის მიერ [20], სოლო იქიდან მოცოლებულია და შენელებულა მკვლევართა და კონსტრუქტორთა ყურადღებას საჯიშე სასელექციო საქმიანობის ინტენსიფიკაციის ამ მეთად მნიშვნელოვანი საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის და პარკის გარეგანი მოქმედების გამოზომი, სხვადასხვა კონსტრუქციის მრავალი აპარატი იქნა შექმნილი [2, 7, 9, 10, 14, 16, 17, 19, 21, 22, 23, 25, 26, 27, 28, 29].

ამჟამად კვლავ გრძელდება სამიზობო-საკონსტრუქტორო სამუშაოები ცოცხალი პარკის სიმკვრივის განმსაზღვრელი ახალი აპარატების შექმნისა და არსებულის გაუმჯობესებისათვის.

ამ აპარატების კონსტრუქციულ გადაწყვეტას საფუძვლად უდევს ერთ შემთხვევაში პარკის გარსზე ცვალებადი ძალის მოქმედება და პარკის გარსის 1 სმ-ზე ხაზობრივი დეფორმაციის მიყენა დრეკადობის ზღვრამდე, ხოლო მეორე შემთხვევაში პარკის გარსზე მთლიანი ძალის მოქმედება და ცვალებადი დეფორმაციის მიღება.

დღემდე შექმნილი აპარატებიდან ცოცხალი პარკის გამორჩევის საქმეში პრაქტიკულად გამოყენება მხოლოდ პროფ. ე. სტრუნიკოვის მიერ შექმნილი „ოვშე-5“ და „ოვშე-6“ და ისიც გამრავლების ბოლო ეტაპზე მასობრივი გამორჩევის დროს. რაც შეეხება გამრავლების პირველ ეტაპებს, საჯიშე მასალის გამორჩევის სამუშაოები ყველგან ხელით სრულდება, გარდა ამისა, არსებული აპარატები ძირითადად ვანკუთენილია პარ-





ეს გვერდებზე გარსის სიმკვრივის შესამოწმებლად, ხოლო, რაც შეეხება პარკის პოლუსების სიმკვრივეს, იგი ფაქტიურად არ მოწმობს შემოწმების საჭიროება კი ძალზე დიდია, რადგან ბოლო მოყვანილ თეთრპარკიან ჯიშებსა და პიბრიდებში საკმაოდ ხშირად გვხვდება თავსუსტიანი პარკები.

ზოგიერთი მკვლევარი პარკის თავსუსტიანობას ეკოლოგიური პირობების გავლენას მიაწერს, ზოგიერთები კი კიის ინსტიქტით ხსნიან, რომ სუსტიკია წინასწარ გრძნობს მოსალოდნელსირთულეს, რომ კუპრად და პეპლად გადაქცევის შემდეგ გაუჭირდება პარკიდან გამოსვლა და პარკის პოლუსებზე აკეთებს თხელ ფენას [1, 3], მაგრამ ეს მოვლენა დამახასიათებელია არა მარტო სუსტი, არამედ ნორმალური კიების მიერ ახვეული პარკისთვისაც. საერთოდ, გამოკვლევებით დადგენილია რომ თანამედროვე თეთრპარკიანი ჯიშების პარკის გარსის სისქე მერყეობს 356-დან 592 მკ-მდე, საშუალოდ კი უდრის 563 მკ-ს, და თითქმის ყველა მათგანისათვის დამახასიათებელია თხელგარსიანობა პოლუსების მხარეზე, ამიტომ პარკის თავსუსტიანობა მემკვიდრულ ნიშან-თვისებად უნდა იქნეს მიჩნეული და სელექციის პროცესში გამოითიშოს.

სწორედ ამის გამო ჩავთვალეთ საჭიროდ, ცოცხალ პარკში აბრეშუმინობის დასადგენად, პარკის გარსის სიმკვრივე შეგვესწავლა პოლუსების მხარეზე და მიღებული პარამეტრები გამოვეყენებინა საჯიშე მასალის ინდივიდუალურად გამორჩევის დროს.

პოლუსების მხარეზე პარკის გარსის სიმკვრივის გასაზომად გამოვიყენეთ პროფ. გ. ეუკინისა და ინჟინერ ვექსლერის მიერ შექმნილი „ეკ“-ის სისტემის აპარატი, მოდერნიზებული საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის უფრა მეცნიერ თანამშრომლის ბ. გადახაბაძის მიერ [2, 20]. ეს აპარატი მოდერნიზაციამდე გამოსადეგი იყო ნახევარ სფეროებზე ანუ გვერდებზე სიმკვრივის გასაზომად. მის მუშაობას საფუძვლად უდევს პარკის გარსზე მულშივი ძალის მოქმედება და ცვალებადი დეფორმაცია.

პარკის გარსის შეკუმშვის ხაზობრივი დეფორმაციის სიდიდეს უჩვენებს ამ აპარატზე მოთავსებული ინდიკატორი, რომლის თითოეული დანაყოფის სიდიდე—ფასი შეესაბამება 0,05 მმ-ს, გარსზე მოქმედი მულშივი ძალა კი 2,4 კგ-ს. ამ შემთხვევაში პარკის გარსზე მოქმედი ძალა დრეკადია და მისი მოქმედების შეწყვეტისას გარსის დეფორმირებული ადგილები კვლავ სწორდება და უბრუნდება პირვანდელ მდგომარეობას. პარკის გარსზე მიყენებული დრეკადი დეფორმაციის სიდიდე იანგარიშება ფორ-

მულით:
$$h = \frac{h_1 \cdot 5}{100}$$
, სადაც h — პარკის გარსის ჩაზნექის დეფორ-

მაციის სიდიდეა მმ-ში, h_1 — ინდიკატორის ციფერბლატის ჩვენებაა, ხოლო 5 მულშივი რიცხვია და ინდიკატორის ერთი დანაყოფის 100-ზე გამ-

ას აპარატით, იტრებოდა და ჭებრის გამოღების შემდეგ დაინდივიდუალურად ინდივიდუალურად „ტორსიონის“ ტიპის სასწორზე 0,1 მმ-ის სიზუსტით. თითოეული პარკის აბრეშუმთანობის განსაზღვრა შესაძლებელია მასის პარკის მასასთან შედარებით და 100-ზე გამრავლებული ასეთი გზით მიღებული ციფრობრივი მასალა ოჯახების მიხედვით დაიყო ერთ შემთხვევაში 4 უ-სადაცადა, ხოლო მეორე შემთხვევაში დალაგდა ვარიაციულ მჭკრევეზად ვარსის დეფორმაციის მატების მიხედვით 0,1 მმ საკლასო შეაღედითა და შესაბამისი აბრეშუმთანობის მაჩვენებლებით.

პირველ გრადაციაში ვაერთიანებული იქნა ის ინდივიდები, რომელთა ვარსის ხაზობრივი დეფორმაცია აპარატზე შემოწმების დროს შეადგენდა 0,6-დან 1,0 მმ-ს, მეორეში 1,1-დან 1,5 მმ-ს, მესამეში 1,6-დან 2,0 მმ-ს, მეოთხეში 2,1-დან 3,0 მმ-ს. ასეთნაირად დალაგებული ციფრობრივი მასალა დამუშავდა ინსტიტუტის გამოთვლით ცენტრში „ნაირი“-3 მარკის ეგმ-ზე, რის საფუძველზე გამოთვლილი იქნა პარკის ვარსის სიმკვრივისა და აბრეშუმთანობის ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლები და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების კორელაციისა და რეგრესიის კოეფიციენტები, რომლებიც მოცემულია ცდის შედეგებში ცხრილების, გრაფიკებისა და მრუდების სახით.

1-ელ ცხრილში მოტანილი ციფრობრივი მასალა წარმოადგენს პოლუსებზე პარკის ვარსის სიმკვრივისა და აბრეშუმთანობის საშუალო მაჩვენებლებს გრადაციების მიხედვით, რომელიც მოცემულია თელავის მეაბრეშუმეობის საჯიშე-სასელექციო სადგურსა და მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევით დაკულტურებულ მატარებელი ექსპერიმენტის შედეგად.

ცხრილიდან ჩანს, რომ ჭიში თბილისურის მდედრობითი სქესის აბრეშუმთანობა პირველ გრადაციაში, სადაც პარკის ვარსის დეფორმაცია ჩაზნექაზე 1 მმ-ს არ აღემატება 22,7%-ს შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ჭიში თბილისური და უფრო მეტად ჭიში ივერია ხასიათდება დაბალი აბრეშუმთანობით და ამდენად პირველ გრადაციაში მდედრობითი სქესის აბრეშუმთანობის ხსენებული მაჩვენებელი ცუდი არ არის. ასეთი მონაცემების მქონე ინდივიდების აპარატული მეთოდით გამორჩევა და თაობებში გამრავლება უშედეგად გაზრდის სელექციის ეფექტურობას, რაც უფრო იმატებს პოლუსებზე პარკის ვარსის ჩაზნექის ხაზობრივი დეფორმაცია, აბრეშუმთანობის პროცენტი თანდათან მცირდება და მეოთხე გრადაციაში იგი 21,5%-მდე დადის და ეს კანონზომიერი მოვლენაა, რადგან პარკის ვარსის დიდ ხაზობრივ დეფორმაციას დაბალი ხარისხისა და ნაკლები აბრეშუმთანობის მქონე პარკი შეესაბამება. იგივე კანონზომიერება მეორდება ჭიში თბილისურის მამრობით სქესში, სადაც პირველ გრადაციაში ცოცხალი პარკის აბრეშუმთანობა 23,9%-ს უდრის და იგი მეოთხე გრადაციაში 22,7%-მდე მცირდება. აქ მხოლოდ მესამე გრადაცია

წარმოადგენს გამოწვევის, სადაც აბრეშუმთან არ იცვლება და მხოლოდ გრადაციის დონეზე რჩება. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მამრობითი სქესის აბრეშუმთანობის მაჩვენებლები საკმაოდ დაბალია მაგრამ იგი ძირითადად გამოწვეულია ჭიშური ნიშან-თვისებების გამოწვევით.

ცხრილი 1

საშუალო ყალიბის ცოცხალი პარკის პოლუსებზე გარსის სიმკვრივისა და აბრეშუმთანობის მაჩვენებლები გრადაციების მიხედვით. (სახელექციო საღვურის ხაზში გამოკვების ოჯახების ხაზ.)

ჯიშები	სქესი	გრადუსი	გარსის დენსიტეტი (გ/მ ²)	აბრეშუმთანობის ძირითადი სტატისტიკური პარამეტრები				
				$\bar{X} \pm m_{\bar{x}}$	σ	C%	P	$t > 3$
მამრობითი	♂	I	0,6—1,0	22,7±0,51	1,82	8,0	2,7	37
		II	1,1—1,5	22,1±0,42	1,26	5,4	1,8	55
		III	1,6—2,0	22,0±0,40	1,20	5,4	1,8	55
		IV	2,1—3,0	21,5±0,49	1,39	6,5	2,3	44
	♀	I	0,6—1,0	23,9±0,25	1,19	4,9	1,9	53
		II	1,1—1,5	23,3±0,25	0,75	3,2	1,1	93
		III	1,6—2,0	23,3±0,67	1,76	7,5	2,9	35
		IV	2,1—3,0	22,7±0,54	1,42	6,2	2,4	42
მდედრობითი	♀	I	0,6—1,0	20,6±0,53	1,73	8,4	2,7	37
		II	1,1—1,5	20,4±0,52	1,64	8,1	2,5	39
		III	1,6—2,0	20,6±0,55	1,75	8,5	2,7	37
		IV	2,1—3,0	20,4±0,56	1,56	9,8	3,3	31
	♂	I	0,6—1,0	23,9±0,82	2,2	9,0	3,4	29
		II	1,1—1,5	23,4±0,55	1,7	7,1	2,4	42
		III	1,6—2,0	22,8±0,43	1,3	5,6	1,9	53
		IV	2,1—3,0	22,3±0,71	2,12	9,1	3,17	31

დგილობრივ ჭიშებში ეს მაჩვენებელი შუა აზიის ჭიშებთან შედარებით ძლიერ დაქვეითებულია. თბილისურთან შედარებით ცოცხალი პარკის აბრეშუმთანობა კიდევ უფრო შემცირებულია ჭიში ივერიას მდებარეობით სქესის პირველ გრადაციაში, სადაც იგი 20,6%-ს არ აღემატება, ხოლო მამრობით სქესში კი ჭიში თბილისურის მაჩვენებლის ტოლია და 23,9%-ს უდრის.

ცოცხალი პარკის აბრეშუმთანობის კლების დინამიკა გრადაციების მიხედვით თითქმის ანალოგიურად მეორდება მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევით ფაკულტეტზე ჩატარებული ცდის შედეგებშიც, რომელიც მოცემულია მე-2 ცხრილში. განსხვავება აქ მხოლოდ იმაშია, რომ ჭიში

საშუალო ყალიბის ცოცხალი პარკის პოლუსებზე გარსის სიმკვრივისა და აბრეშუმთანობის მაჩვენებლები გრადაციების მიხედვით (კათედრის ექსპ. გამოკვების ოქაზების საშუალო)

ქიმიკატი	სქესი	გრადაცია	გარსის დეფორმაცია მმ-ში	აბრეშუმთანობის ძირითადი სტატისტიკური პარამეტრები				
				$X \pm m \tilde{x}$	σ	C%	P%	$t > 3$
თბილისური	♀	I	0,6-1,0	$21,6 \pm 0,27$	0,82	3,8	1,3	80
		II	1,1-2,0	$20,7 \pm 0,51$	0,61	7,8	2,5	41
		III	2,1-2,5	$21,0 \pm 0,37$	1,18	5,6	1,8	57
		IV	2,6-3,0	$18,5 \pm 0,73$	1,79	7,6	3,9	25
	♂	I	0,6-1,0	$25,0 \pm 0,31$	0,58	3,9	1,2	80
		II	1,1-1,5	$24,5 \pm 0,16$	0,52	2,1	0,7	153
		III	1,6-2,0	$24,1 \pm 0,20$	0,65	2,7	0,3	120
		IV	2,1-3,0	$22,6 \pm 0,58$	1,54	6,8	2,6	39
ივერია	♀	I	0,6-1,0	$20,3 \pm 0,31$	0,59	4,9	1,66	64
		II	1,1-1,5	$20,3 \pm 0,18$	0,57	2,0	0,5	113
		III	1,6-2,0	$19,3 \pm 0,53$	1,74	4,0	2,3	35
		IV	2,1-3,0	$17,9 \pm 0,40$	1,27	7,4	2,3	43
	♂	I	0,6-1,0	$23,7 \pm 0,42$	1,34	5,7	1,3	56
		II	1,1-1,5	$22,9 \pm 0,37$	1,18	5,2	1,6	62
		III	1,6-2,0	$21,8 \pm 0,40$	1,23	5,9	1,3	54
		IV	2,1-3,0	$20,2 \pm 0,37$	1,17	5,8	1,8	55

თბილისურის მდებარეობით სქესში აბრეშუმთანობის მაჩვენებელი ოდნავ დაქვეითებულია და პირველ გრადაციაში 21,6%-ს შეადგენს, ხოლო მამრობითში კი პირიქით, გაზრდილია და 25%-მდე აღწევს. გარსის დეფორმაციის პარალელურად, ამ შემთხვევაშიც კანონზომიერად მცირდება აბრეშუმთანობის პროცენტი. რაც შეეხება აბრეშუმთანობის ძირითად სტატისტიკურ მახასიათებლებს, როგორცაა საშუალო სიდიდის ცდომილება, საშუალო კვადრატული გადახრა, ვარიაციის კოეფიციენტი და კვლევის სიზუსტე ყველა ისინი ნორმის ფარგლებშია, ხოლო დამაჯერებლობის კოეფიციენტი (t) პირიქეს ბევრად აღემატება და ჩატარებული კვლევის მონაცემებს ძალზე სარწმუნოს ხდის.

პარკის გარსის სიმკვრივისა და აბრეშუმთანობის კორელაციური და რეგრესიული კავშირების მონაცემები მოტანილია მე-3 და მე-4 ცხრილებში. აქ, ორივე შემთხვევაში, კორელაციისა და რეგრესიის კოეფიციენტები უარყოფითი ნიშნით არის გამოსახული. იმ დროს, როდესაც სიმკვრივის ზრდასთან ერთად აბრეშუმთანობა პირდაპირ პროპორციულად



საშუალო ყალიბის ცოცხალი პარკის პოლუსებზე გარსის სიმკვრივისა და აბრეშუმთანობის კორელაციური დამოკიდებულება გრადაციების მქონე ცხენებში (კათედრის ექსპ. გამოკვების ოჯახების საშ.).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

17390

ჯიშები	სქესი	გრადუსი	გარსის დეფორმაცია 38-ში $\bar{X} \pm m \cdot \bar{x}$	აბრეშ. % (განწ.)	$r \pm m_r$	$t_r > 3$	R_a	R_b
ნობილური	♀	I	0,86 ± 0,01	21,5	-0,92 ± 0,40	25	-0,5	-0,29
		II	1,21 ± 0,01	20,3				
		III	1,76 ± 0,02	20,1				
		IV	2,64 ± 0,03	19,5				
	♂	I	0,65 ± 0,01	25,3	-0,72 ± 0,07	13	-0,25	-0,89
		II	1,30 ± 0,01	24,9				
		III	1,70 ± 0,02	24,5				
		IV	2,63 ± 0,11	23,6				
იკერი	♀	I	0,79 ± 0,02	21,1	-0,56 ± 0,04	27	-1,31	-0,51
		II	1,27 ± 0,01	20,2				
		III	1,77 ± 0,02	19,4				
		IV	2,87 ± 0,02	17,4				
	♂	I	0,80 ± 0,01	23,7	-0,96 ± 0,04	22	-2,55	-0,36
		II	1,29 ± 0,01	22,9				
		III	1,75 ± 0,2	21,4				
		IV	2,37 ± 0,6	19,6				

იზრდება და კორელაციის კოეფიციენტიც დადებით ნიშანს უნდა ატარებდეს. საქმე იმაშია, რომ ვეგნ-ზე დამუშავების წინ ექსპერიმენტის შედეგად მიღებული ცოფობრივი მასალა დალაგებული იქნა ვარიაციულ მუკრივებად. სადაც პარკის გარსის სიმკვრივის გრადუსში შეტანილი იქნა პარკის გარსის დეფორმაციის ფაქტიური მნიშვნელობები ზრდადობის კვალობაზე და ბუნებრივია, რამდენადაც ერთი და იგივე სიმძიმის ძალის მოქმედებით (2,4 კგ) პარკის გარსის დეფორმაცია გაიზარდა, იმდენად მისი აბრეშუმთანობის პროცენტი შემცირდა. ამიტომ არის უარყოფითი ნიშნით მოცემული კორელაციის კოეფიციენტები, რაც შეეხება რვეგრუის კოეფიციენტებს. ისინი იმ ნიშანს ატარებს, რასაც კორელაციის კოეფიციენტები. ამ საქმე ვეაქვს სრულ სწორხაზოვან შებრუნებულ კორელაციასთან, სადაც ერთი ნიშნის გადიდება იწვევს მეორის შემცირებას.

შე-3 ცხრილში მოტანილი მონაცემები შეეხება საშუალო ყალიბის ცოცხალი პარკის პოლუსებზე გარსის სიმკვრივისა და აბრეშუმთანობის 2. შრომები, № 3 (125), 1962.



კორელაციურ და რეგრესიულ დამოკიდებულებას გრადაციების მიხედ-
ვით. გარსის დეფორმაციის ინტერვალი, ანუ საკლასო შეუღლდი გრადა-
ციებს შორის, აქაც 0,5 მმ-ის ტოლია. ცხრილში მოტანილი მონაცემ-
ნობის მაჩვენებლები კორელაციური განტოლებით გამოვსახეს და
დეებს წარმოადგენს.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ჭიში თბილისურის მდებრობითი სქესის
პირველ გრადაციაში აბრეშუმშიანობა 21,6-ის, ხოლო მეოთხე გრადაცია-
ში კი 15,5%-ის ტოლია. ამ მნიშვნელობებს შორის გრადაციების მიხედ-
ვით კორელაციის კოეფიციენტი (r) $0,92 \pm 0,49$ -ს შეადგენს და ამასთან
იგი დიდი დამაჯერებლობით ხასიათდება ($t_r = 25$). მაშასადამე, ამ შემ-
ცხვევაში არსებობს არაპირდაპირი უარყოფითი მჭიდრო კორელაციური
კავშირი ამ ორ შესასწავლ ნიშანს შორის და იგი მინიმალური ცდომი-
ლებით არის წარმოდგენილი. აბრეშუმშიანობის რეგრესიის კოეფიციენტი
თავის მხრივ 0,5%-ის ტოლია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სიმკვრივის
ერთი ერთეულით გადიდება, ანუ გარსის დეფორმაციის ერთი ერთეუ-
ლით შემცირება, გამოიწვევს აბრეშუმშიანობის 0,5%-ით გაზრდას.

ჭიში თბილისურის მამრობითი სქესის აბრეშუმშიანობა პირველ გრად-
აციაში 25,3, ხოლო მეოთხე გრადაციაში 23,6%-ს შეადგენს, კორელა-
ციის კოეფიციენტი კი $0,92 \pm 0,07$ -ის ტოლია. დამაჯერებლობის კოეფი-
ციენტი აქაც სარწმუნოა.

კორელაციის კოეფიციენტის უფრო მყარი და სარწმუნო სიდიდეები
იქნა მიღებული ჭიში ივერიას შემთხვევაში, სადაც $r = 0,96 \pm 0,04$ -ს, ხო-
ლო $t_r = 22-27$ -ს.

მეოთხე ცხრილში მოტანილი მონაცემები გამოსახავს ცოცხალი
პარკის პოლუსებზე გარსის სიმკვრივისა და აბრეშუმშიანობის კორელა-
ციურ დამოკიდებულებას პარკის გარსის დეფორმაციის 0,1 მმ-ით მატე-
ბის დროს. ამრიგად, თუ ზემოთ განხილულ შემთხვევაში მუდმივი ძა-
ლით გარსზე მიყენებული დეფორმაცია დაჯგუფებული იქნა გრადაციე-
ბად, აქ იგი 0,1 მმ საკლასო შეუღლდით არის დალაგებული ვარიაციულ
მწკრივებად და იქიდან არის გამოანგარიშებული კორელაციისა და რეგ-
რესიის კოეფიციენტები. ამასთან საშუალო ყალიბის პარკთან ერთად
მოტანილია წვრილი ყალიბის პარკის მაჩვენებლებიც.

პოლუსებზე პარკის გარსის დეფორმაციის ზღვრული სიდიდეები
0,6-დან 4 მმ-მდეც კი აღწევს. ამაზე ზევით გარსის დეფორმაცია აღარ
იზომება ინდიკატორით, რადგან პარკი იმდენად სუსტგარსიანია, რომ
მოლიანად იყვლიტება შემკვშშივი ძალით და არავითარი პრაქტიკული
ღირებულება არ გააჩნია. პარკის გარსის დეფორმაციის ქვედა ზღვარი
0,6 მმ მიჩნეულია საწყის სიმკვრივედ, რადგან მასზე ნაკლები გარსის
დეფორმაციის სიდიდე, არა თუ პოლუსებზე, არამედ პარკის გვერდებზე



სტატისტიკური დამოკიდებულება გარსის დეფორმაციის 0,1 მმ-ით მატილებზე (კათედრის ექსპ. გამოკვების ოქაზების საშ. მაჩვენებლები)

კომპი	სქესი	ყალიბი	გარსის დეფორმაციის ხაზები მმ-ში	აბრეშუმ. % $\bar{X} \pm m_x$	$r \pm m_r$	$t_{r>2}$	R_a	R_b
თბილისური	♀	საშ. წერ.	0,6—1,9	21,8±0,1	-0,88±0,17	3	-0,87	-0,38
		წერ.	0,7—2,7	19,4±0,21	-0,44±0,21	2	-0,61	-0,31
ეკრა	♂	საშ. წერ.	0,6—2,0	24,6±0,26	-0,88±0,06	15	-1,07	-0,37
		წერ.	0,6—3,0	23,3±0,18	-0,65±0,13	5	-0,83	-0,51
ეკრა	♀	საშ. წერ.	0,7—2,0	19,9±0,08	-0,86±0,0,5	17	-1,50	-0,50
		წერ.	0,6—2,6	19,3±0,24	-0,82±0,0,7	12	-1,33	-0,50
ეკრა	♂	საშ. წერ.	0,6—2,6	22,9±0,31	-0,91±0,04	17	1,95	0,42
		წერ.	0,6—4,0	21,2±0,21	-0,83±0,05		-1,11	-0,66

შემოწმების დროსაც, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, არ გვხვდება. ამიტომ ყველა ყალიბისა და სქესის 0,6 მმ გარსის დეფორმაცია მიჩნეულია მაქსიმალურ სიმკვრივედ და იქიდან არის გაანგარიშებული გაკეთებულია ზოგჯერ ცხრილიდან ჩანს, კორელაციის კოეფიციენტი საშუალო ყალიბის ორივე ჯიშის სქესის ჯგუფებში საკმაოდ მაღალია და მერყეობს 0,86-დან — 0,91-მდე, ხოლო წვრილი ყალიბის შემთხვევაში კი —0,44-დან — 0,85-მდე. ამასთან, ჯიში თბილისურის წვრილი ყალიბის მდებარეობით სქესის ჯგუფში კორელაციის კოეფიციენტი არასარწმუნოობით ხაზითდება ($t_r=2$).

საერთოდ, ზემოთ განხილული ცხრილებიდან ჩანს, რომ პოლუსებზე პარკის გარსის სიმკვრივისა და აბრეშუმთანობის სტატისტიკური მახასიათებლები და კორელაციის კოეფიციენტები დიდი სიზუსტით არიან გამოთვლილი და რეალურად ასახავენ ფაქტიურ მდგომარეობას, მხოლოდ მაღალი კორელაციური ურთიერთობა აღინიშნება მაშინ, როცა გამოსაკვლევი პარკი საშუალო ყალიბისაა. რაც შეეხება წვრილი ყალიბის პარკს, აქ კორელაციის კოეფიციენტის დიდ ცვალებადობას აქვს ადგილი. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ წვრილი ყალიბის პარკი, რომლის სიგანე 16 მმ-ზე ნაკლებია, საჭიროდ არ გამოდგება და სელექციის წუნს უნდა განეკუთვნოს.

პარკის გარსის სიმკვრივესა და აბრეშუმთანობას შორის კორელაციური დამოკიდებულების დადგენის შემდეგ მოვახდინეთ ჯიშებისა და სქესის ჯგუფების მიხედვით მიღებული მონაცემების გასწორება და შე-



დგეგები მოცემულია 1-ელ და მე-2 გრაფიკებზე. კვლევის შედეგად მოღუ-
ბული მონაცემების გასწორების მრავალი მეთოდი არსებობს (სწორის
განტოლება, გრაფიკული მეთოდი, ანალიზური მეთოდი χ^2 კრიტერიუმის
რატა მეთოდი და კორელაციური განტოლება), რომლებშიც χ^2 კრიტერიუმის
რელაციური გამტოლებით მონაცემების გასწორების მეთოდი გამოვიყე-
ნეთ. ცნობილია რომ, როცა ცალკეულ ნიშნებს შორის არსებობს კორე-
ლაციური და არა ფუნქციონალური დამოკიდებულება, მაშინ აუცილე-
ბელია გასწორება მოხდეს ერთი ნიშნისა მეორის მიმართ. ამასთან, ნი-
შანი, რომელსაც ვასწორებთ, ითვლება დამოკიდებულ, ხოლო რომლი-
თაც ვასწორებთ — დამოუკიდებელ ნიშნად [4, 7, 18]. ჩვენს შემთხვე-
ვაში დამოკიდებულ ნიშნად მიჩნეული იქნა ცოცხალი პარკის გარსის
პროცენტი, ანუ აბრეშუმთანობა, ხოლო დამოუკიდებელ ნიშნად კი ცო-
ცხალი პარკის პოლუსებზე გარსის სიმკვრივე მმ-ში, რომელსაც ვადგენ-
დით „კვ“-ას სისტემის მოდერნიზებული აპარატით.

მონაცემების გასწორება კორელაციური განტოლებით მოვახდინეთ
შემდეგნაირად:

$$Y_{\text{გარ.}} = \bar{X} + r \frac{\sigma_{\text{გარ.}}}{\sigma_{\text{სიმ.}}} (X_{\text{სიმ.}} - \bar{X}_{\text{სიმ.}}),$$

სადაც $Y_{\text{გარ.}}$ არის აბრეშუმთანობის პროცენტის გასწორებული მნიშე-
ნელობა;

\bar{X} — ვარიაციული მწკრივის ყველა ვარიანტის აბრეშუმთანობის
საშუალო სიდიდე;

r — პარკის გარსის სიმკვრივისა და აბრეშუმთანობის კორელაცი-
ის კოეფიციენტი;

$\sigma_{\text{გარ.}}$ — აბრეშუმთანობის პროცენტის საშუალო კვადრატული
გადახრა;


$\sigma_{\text{სიმ.}}$ — სიმკვრივის საშუალო კვადრატული გადახრა;

$X_{\text{სიმ.}}$ — ვარიაციული მწკრივის თითოეული ვარიანტის სიმკვრივის
მნიშვნელობა;

$\bar{X}_{\text{სიმ.}}$ — ვარიაციული მწკრივის ყველა ვარიანტის სიმკვრივის სა-
შუალო სიდიდე.

მოცემულ განტოლებაში შესაბამისი მონაცემების ჩასმით მივიღეთ
ემპირიული ფორმულა, რომლითაც იქნა გასწორებული აბრეშუმთანობის
პროცენტის მაჩვენებლები.

აღნიშნული გრაფიკებიდან უფრო ნათლად ჩანს საშუალო ყალიბის
ცოცხალი პარკის გარსის სიმკვრივისა და აბრეშუმთანობის კორელაცი-
ური დამოკიდებულება ჯიმ ივერიას ორივე სქესის ჭკუფებში.



გრაფიკებს, რომლებიც აგებულია 0,1 მმ საკლასო შეაღწევის ან ახლავს ვარიანტთა ნორმალური განაწილების მრუდი, რომლითაც ნებისმიერ შემთხვევაში ლობთ ვარიანტთა ნორმალური განაწილების კანონზომიერებას, რაც კვლევის შემთხვევაში იმას, ლაგდება თუ არა ვარიაციულ მწკრივში მარცხენა და მარჯვენა საშუალოს მარჯვნივ და მარცხნივ მოცემული ვარიანტების მრუდის აგებისათვის პირველ რიგში ვარიაციული იქნა მრუდის უმაღლესი წერტილი, ანუ ორდინატი, იგი აღნიშნულია H-ით და უდრის $\frac{0,4dn}{\sigma}$, სადაც 0,4 მედმივი რიცხვია, d — საკლასო შეაღწევი, n ვარიანტთა რიცხვი, ხოლო σ — საშუალო კვადრატული გადახრა.

შემდეგ გაირკვა სივრცის შესატყვისი კოორდინატები ($y = n \cdot H$) და კოორდინატების შესატყვისი აბსცისები ($X = X' \pm dx$).

როგორც წარმოდგენილი მრუდებიდან ჩანს, ჯიშ ივერიას ორივე სქესის ჯიშებში ნორმალური განაწილების მრუდი ვარიანტთა ნორმალური განაწილების ტიპს მიეკუთვნება, სადაც ვარიანტები აბრეშუმანობის მიხედვით საშუალო მნიშვნელობიდან აბსცისთა ღერძზე სიმეტრიულადაა განლაგებული და თავსდება $M \pm \sigma$ -ის ფარგლებში. M კი მოიცავს ვარიანტთა 99,7%-ს, ანალოგიური სურათია მიღებული ჯიშის თბილისურის საშუალო ყალიბის ორივე სქესის შემთხვევაშიც.

ყოველივე ეს დიდ უპირატესობას ანიჭებს „ეკ“-ის სისტემის მოდერნიზებული აპარატის გამოყენებას. გამრავლების პირველ ეტაპებზე ცოცხალი პარკის პოლუსებზე გარსის სიმკვრივის შესამოწმებლად, ასეთი შემოწმება და მკვრივგარსიანი ინდივიდების სისტემატური გამორჩევა უზრუნველყოფს თაობებში პარკის თავსუსტანობის შემცირებას. ანუ პოლუსების მხარეზე გარსის სისქის გაზრდას, მაგრამ აქ ისმის კითხვა, ხომ არ გამოიწვევს პოლუსების მხარეზე პარკის გარსის გასქელება პეპლის გამოუსვლელობის გაზრდას? მართალია, ზოგიერთი ავტორები [5, 11, 13] პეპლის გამოუსვლელობის ერთ-ერთ მიზეზად თუთის აბრეშუმანობას ახალ სელექციურ ჯიშებში პარკის გარსის გასქელებას მიიჩნევენ, რაც ერთი მხრივ სწორია, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში, როცა სჯიშე მასალის გამორჩევა იწარმოებს პარკის ვაუჭრულად, პოლუსების მხარეზე სიმკვრივის შემოწმებით, თაობებში გამრავლება არა მარტო სქელგარსიანი, არამედ მალალი ცხოველყოფილობის მქონე ინდივიდები, რადგან სუსტი ცხოველყოფილობის მქონე ტუპრიდან მიღებული პეპლები ვერ გამოკრიან პოლუსების მხარეზე პარკის გარსს, ჩაკვდებიან პარკში და ავტომატურად გამოითიშებიან გამრავლების შემდგომი ეტაპიდან, ხოლო გამრავლებაში მონაწილეობას მიიღებენ ის ინდივიდები, რომლებსაც აღმოაჩნდებათ პარკის გარსის გამოკრის უნარი. პარკიდან



პეპლის გამოსვლა კი მტკიცე შემკვიდრულ ნიშან-თვისებად ითვლება და
 იტენბერიცია, ეს თვისება თაობებში უცვლელად გადაეცემა. აქედნად,
 აპარატული მეთოდით საჭიშე მასალის გამოჩენვა და პოლუსებზე მისაღწე-
 ზე პარკის გარსის გასქელება. პეპლების გამოუსვლელად მასალის
 თვალსაზრისით, არავითარ საშისწროებას არ წარმოადგენს. პირობით,
 შეიძლება გავაყეთოთ წინასწარი დასკვნა იმის შესახებ, რომ მოხდება
 საწინააღმდეგო, შემცირების ნაცვლად საგრძნობლად გაიზრდება პეპლის
 გამოსავლიანობა.

დასკვნა

1. თუთის აბრეშუმხვევიას ახალი ჯიშების გამოყვანისა და საჭიშე-
 სასელექციო სადგურებში პირველ ეტაპებზე გამრავლების პროცესში,
 რაც 15—17 თაობას მოიცავს, სელექცია პარკის თავსუსტიანობის შესამ-
 ცირებლად აპარატული მეთოდის გამოყენებით დღემდე არ ჩატარებულა,
 რის გამოც ბოლო პერიოდში წარმოებაში გაერცელებულ თეთრპარკიან
 ჯიშებში იგი საგრძნობლად ვაიზარდა.

2. პარკის თავსუსტიანობა საგრძნობლად აუარესებს ტექნოლოგი-
 ურ მაჩვენებლებს, რადგან პარკის ამოხვევის დროს თხელგარსიან პო-
 ლუსებზე ძაფი ადრე იხვევა. გარსში შედის წყალი, პარკი წყალში იძი-
 რება, ვერ ხერხდება მისი ბოლომდე ნორმალურად ამოხვევა და მცირ-
 დება ძაფის გამოსავლიანობა. ამასთან პარკის თავსუსტიანობას გარკვე-
 ულად განპირობებს გარემო პირობები, მაგრამ იგი მაინც შემკვიდრული
 ბუნებისაა და სელექციის პროცესში უნდა გამოითიშოს.

3. თუთის აბრეშუმხვევიას ახალი ჯიშების გამოყვანისა და საჭიშე-
 სასელექციო სადგურებში პირველ ეტაპებზე გამრავლების დროს საჭი-
 შე მასალის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად ცოცხალი პარკის აბრე-
 შუმინანობა, ანუ გარსის პროცენტით ითვლება, მაგრამ მისი განსაზღვრის
 სამუშაოები, როგორც პარკის დაჭრით, ასევე პარკიდან ძაფის ამოხვევით
 ხელით სრულდება, დიდი შრომატევადობით ხასიათდება და რაც მთავა-
 რია ვერ ესწრება საჭირო დროის მონაკვეთში (20—25 დღე) მისი შესრუ-
 ლება. რის გამოც მნიშვნელოვნად ფერხდება მალალხარისხოვანი საჭიშე-
 გრენის დამზადება. ამ შემთხვევაში არაპირდაპირი ნიშნით გამოჩენვას—
 პოლუსებზე გარსის სიმკვრივის აპარატული მეთოდით შემოწმებას, უაღ-
 რესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

4. ოჯახობრივი გამოყვებისა და ინდივიდუალური გამორჩევის დროს
 პოლუსებზე ცოცხალი პარკის გარსის სიმკვრივის შესამოწმებლად „კვ“-ას
 სისტემის მოდერნიზებული აპარატის გამოყენებით დადგინდა, რომ კორეუ-
 ლაციური კავშირი სიმკვრივესა და აბრეშუმინანობას შორის ჯიშების თბილ-
 ლისურისა და ივერიას საშუალო ყალიბის ორივე სქესის ჯგუფებში საკუ-


ზოდ მყარია ($r=0,86$ -დან $0,96$ -მდე) და ამასთან, იგი ძალზე დასაბუთებული და სარწმუნოა (r ყოველთვის მეტია 3 -ზე). სუსტი კორელაციები კავშირით აღინიშნება წვრილი ყალიბის პარკი, სადაც კორელაციის კოეფიციენტი $r=0,44$ -დან $0,85$ -მდე.

5. თუთის აბრეშუმხვევიას ახალი ჯიშების გამოყვანისა და გამოყვლების პირველ ეტაპებზე (საწყისი მასალისა და სუპერელიტური გრენის დამზადება) საჯიშე მასალის ინდივიდუალურად გამორჩევისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნეს „ვე“-ას სისტემის მოდერნიზებული აპარატი პოლუსებზე პარკის სიმკვრივის შესამოწმებლად, რის დროსაც საჯიშედ დატოვებული უნდა იქნეს ის ინდივიდები, რომელთა გარსის დეტორმაცია არ აღემატება $1,5$ მმ-ს ანუ ინდიკატორის სკალის 30 დანაკუფს.

6. აპარატზე შემოწმებამდე აუცილებელია პარკი დაიყოს სქესად და დაყალიბდეს საშუალო ყალიბის ზომაზე. წინააღმდეგ შეითხვევაში სასურველი შედეგი ვერ იქნება მიღებული.

ლიტერატურა — Литература

1. ე. გოგელია, ქ. კრაწაშვილი. პარკის თავსუსტიანობის მიზეზების შესწავლა ახვევის პერიოდში.
საქ. სსს.-სამ. ინსტ.-ის შრ. ტ. LXX, თბილისი, 1966.
2. ა. გურგენიძე, ბ. გადახაბაძის მიერ მოდერნიზებული პარკსაზომი „ვე“-ას გამოცდის შედეგები.
საქ. სსს.-სამ. ინსტ.-ის შრ. ტ. LXX, თბილისი, 1966.
3. ი. დოლიძე, აბრეშუმის პარკის დამზადებისა და პირველადი დამუშავების ტექნოლოგია. „ცოდნა“, თბილისი, 1965.
4. გ. პაპიტაშვილი, მათემატიკური სტატისტიკის მოკლე კურსი.
„განათლება“, თბილისი, 1964.
5. ქ. შონია, საგრენაეო წარმოების პარკის პარტიებიდან პეპლის გაუმოუსვლელობის ზოგიერთი მიზეზები.
საქ. სსს.-სამ. ინსტ.-ის შრ. ტ. 100, თბილისი, 1977.
6. შ. ჯანიშვილი, საცდელ საქმეთა მეთოდთა გამოცდის შედეგები.
გამ.-ბა „მეცნიერება“, თბილისი, 1973.
7. Абрамов А. Д. Определение веса оболочек. Жри., «Шелк», № 2. 1963.
8. Анучин Р. В. Изменчивость и наследственность коконов тутового шелкопряда. М., 1926.
9. Афанасьев Г. Н. Определение веса оболочек. Жри. «Шелк», № 2. 1964.

- 
10. Горячев М. И., Ионов В. М. Аппарат для определения веса оболочки коконов без их взрезки. Жри. «Шелк», № 2, 1968.
 11. Гумбатов И. М. Связь невихода бабочек с технологическими свойствами коконов различных пород. Тр. АзНИИШ, т. V, Кировобад, 1964.
 12. Гургенидзе В. В. Автоматизация сортировки коконов. Ж. «Шелк», № 1, 1965.
 13. Дехканов М. Особенности потомства бабочек тутового шелкопряда не вышедших из коконов в первом и последующих поколениях. Изд-во «Фан» Уз. ССР, Ташкент, 1966.
 14. Жвирблис И. И. Аппаратные методы классификации живых коконов. В кн. Вопросы развития шелководства в СССР. М., 1937.
 15. Кукин Г. Н. и др. Учение о волокнистых материалах. Гизлегпром, 1949.
 16. Киквидзе С. И. Прибор автомат КБ-1 для определения средней сортности коконов по плотности оболочек. Жри., «Шелк», № 1, 1966.
 17. Линде В. В., Осипов П. А. Технология шелка, М., 1951.
 18. Плохинский И. А. Руководство по биометрии для зоотехников. Изд-во «Колос», М., 1972.
 19. Перелегин А. Т. Аппаратный метод определения шелконосности коконов. Жри., «Шелк», № 2, 1959.
 20. Рубинов Е. Б. и др. Учение о шелке и кокономотание, ч. 1. Изд-во «Легкая индустрия», М., 1966.
 21. Рубинов Е. Б. и др. Справочник по шелкосырью и кокономотанию. Изд-во «Легкая индустрия», М., 1971.
 22. Струнников В. А. Изучение эффективности отбора племенного материала с помощью аппарата, определяющего процент шелковой оболочки. Отч. САНИИШ, 1953.
 23. Струнников В. А. Определение веса шелковых оболочек неврезанных коконов. Сб. научно-исследовательских работ САНИИШ, Ташкент. 1955.
 24. Струнников В. А. Механизированный отбор племенных коконов тутового шелкопряда. Ташкент, 1960.
 25. Струнников В. А. Определение шелконосности промышленных коконов аппаратами ОВШК. Жри., «Шелк», № 1, 1963.

26. Шкурна Н. Испытание инструментального метода оценки качества сырых коконов. Сб. научно-исследовательских работ САНИИШ, Ташкент, 1955.
27. Юлдашев Ш. О плотности оболочек коконов. Жри. «Шелк», № 4, 1976.
28. Юлдашев Ш. Исследования связанные с созданием прибора для определения шелконосности коконов тутового шелкопряда. Автореферат диссертации на соискание уч. степени к. техн. наук, Ташкент, 1978.
29. Янов В. Я. Прибор для сортировки коконов по весу шелковой оболочки. Жри., «Шелк», № 3, 1972.
30. Янов В. Я., Струнников В. А. Теоретическое и экспериментальное определение условия сжатия коконов в приборе СК-4, Жри., «Шелк», № 2, 1973.
-



УДК 638.22

თ. ლეხავიჩიძე, ა. ძეგლაძე,
ბ. კარაყაშვილი, შ. ასათიანი,
ბ. ავთოიშვილი

აღლიდროვისადმი შედარებით გამაღვ ჯიშის გამოყვანა
კიბიური მუტაციის მოყვადებით

საბჭოთა კავშირში და განსაკუთრებით საქართველოში აბრეშუმის
ჭიის ინფექციურ დაავადებათა შორის ჭერ-ჭერობით ყველაზე დიდი
ზიანის მომტანია სიყვითლე, ანუ ბირთვული პოლიედროზი. იგი გავრ-
ცელებულია ჩვენი რესპუბლიკის ყველა ზონაში; საგრძნობ ზარალს აყუ-
ნებს ამ დარგს და აბრეშუმის ჭიის ერთ-ერთ საშიშ დაავადებად ითვლება.
არც ისე დიდი ხნის უკან, მკვლევართა ერთი ნაწილი უარყოფდა სიყ-
ვითლის დაავადების მემკვიდრულად გადაცემის შესაძლებლობას, მეორე
ნაწილი კი მიიჩნევდა მას მემკვიდრულ დაავადებად. საბოლოოდ დადგე-
ნილი იქნა, რომ ბირთვულ პოლიედროზი მემკვიდრული დაავადებაა და
იგი გადაეცემა თაობიდან თაობას, მაგრამ გამოვლინდება მაშინ, როცა
შეექმნება ხელსაყრელი პირობები განვითარებისათვის.

ყოველივე ამის შემდეგ, მკვლევართა საქმიანობა წარიმართა ბირთ-
ვული პოლიედროზული დაავადების გენეტიკური პროფილაქტიკის მი-
მართულებით, რის დროსაც გამოყენებული იქნა თეთის აბრეშუმხვევიას
სხვადასხვა ჯიშების სხვადასხვა პროვოკაციულ ფონზე შემოწმების მეთო-
დები. ამ მეთოდებიდან აღსანიშნავია: აბრეშუმის ჭიის ხელოვნური დასე-
ნინება მე-4 ასაკში პოლიედროვანი სუსპენზიით, ან კიდევ, მეხუთე ასა-
კის კიაში ლატენტურ ფორმაში მყოფი ვირუსის ხელოვნურად ინდუცი-
რება ტემპერატურისა და ტენიანობის სხვადასხვა პირობების შექმნით.

ხელოვნური დასენინების მეთოდით თეთის აბრეშუმხვევიას ჯიშე-
ბის სიყვითლის დაავადებისადმი გენეტიკური გამძლეობის შემოწმება და
მათგან შედარებით გამაღვ საწყისი მასალის შერჩევა პირველად ჩატარ-
და აზერბაიჯანის მეაბრეშუმეობის კვლევით ინსტიტუტში პროფ. ალიე-
ვის მიერ [1], რის საფუძველზეც გამოყვანილი იქნა სიყვითლის დაავადე-



ბისადმი შედარებით გამძლე ჯიშები აზნიიზ-1 და აზნიიზ-2 და მათი მემკვიდრეობის წარმოების წარმატებით დაინერგა აზერბაიჯანის სსრ-ში. შუა აზიის მებარეშემეობის კვლევით ინსტიტუტში იგერმანოვი მ. ა. ვერბიციკაიას [3] მიერ გამოყვანილია სიყვითლის და მუცლის გამძლე ჯიშები, რომელიც არ დაინერგა წარმოებაში.

ამავე პერიოდში მადრახიმოვის [4] მიერ ეირუსული დაავადებისადმი ინდუქციის მეთოდით შერჩეული იქნა სიყვითლისადმი გამძლე ინდივიდები.

სხვა რესპუბლიკების ანალოგიურად ხელოვნური დასენიანებითა და ეირუსული ინდუქციით სიყვითლის დაავადებისადმი გამძლე აბრეშუმ-ხვევიას ახალი ჯიშების გამოყვანა დაიწყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებარეშემეობის ფაკულტეტმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა დოცენტი შ. ლვინფაძე [5].

მრავალი წლის მანძილზე ჩატარებული კვლევითი მუშაობის შედეგად მიღებული იქნა სიყვითლის დაავადებისადმი შედარებით გამძლე ხაზები — სახელდობრ: უპ-1, უპ-2, უპ-3, უპ-5.

აღსანიშნავია, რომ დღემდის არც ერთ მოქმედ სტანდარტში და არც დროებით ტექნიკურ პირობებში გათვალისწინებული არ ყოფილა მუსკარდინით დაავადებული ქიების მიერ ახვეული პარკის მიღების წესები და

ნორმატივები, ამ მხრივ გამოჩაყლისი არც ახლად დამუშავებულ სტანდარტია, რადგან მუსკარდინიანი პარკის შესახებ მასში არაფერია წითილებული. უადგილო არ იქნება აღენიშნოთ, რომ მუსკარდინიანი პარკი საქმას რაოდენობით გვხვდება როგორც საქართველოში, ტურქეთში, რუსეთში და ამ ბოლო წლებში შუა აზიის რესპუბლიკებშიც.

როგორც ცნობილია, მუსკარდინიანი პარკი 2—2,5-ჯერ მსუბუქია ხარისხიან პარკთან შედარებით. ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაოები აქვთ ჩატარებული თ. ოვანესიანს, ვ. ოდიკაძეს და ბ. გაღახაძეს, რომელთა მიერ რეკომენდებულია მუსკარდინიანი პარკის მასის 2,5-ჯერ გადიდება და მასის გაანგარიშების გაადვილების მიზნით შედგენილია სპეციალური ცხრილი.

პრაქტიკაში პარკის პირველადი დამუშავების ბაზებისათვის დაშვებულია სპეციალური ინსტრუქცია, რომლის შესაბამისად ნებაგრეშუმების ტარიდან ბაზის ტარაში გადატანილ პარკის პარტიიდან აიღება 100 ცალი და თითოეულის ხელში გაქანებით (მუსკარდინიანი პარკი სპეციფიკურ ხმას გამოსცემს, რადგან ჭეპრი გაკირულია) განისაზღვრება მუსკარდინიანი პარკის ოდენობა პროცენტობით. რომელიც შემდგომ მრავლდება ჩაბარებული პარკის პარტიის მასაზე. მიღებული მასა ორკეცდება, ემატება დარჩენილ ხარისხიან პარკის მასას და ეს საერთო მასა უნაზღაურდება მეაბრეშუმეს ხარისხობრივი შედგენილობის შესაბამისად.

მაგალითი: დაეუშვათ მეაბრეშუმის მიერ ჩაბარებულია 31 კგ პარკი, რომელშიც მუსკარდინიანია 81,2% ($31 \text{ კგ} \times 81,2\% = 25,2 \text{ კგ}$). რომლის გაორკეცებული მასა შეადგენს 50,4 კგ. პარკის მასის ამ რაოდენობას უნდა დაემატოს 5,8 კგ ხარისხიანი პარკი ($31 - 25,2 = 5,8 \text{ კგ}$). რაც საბოლოო ჯამში უდრის 56,2 კგ. პარკის პარტიის ხარისხობრივი შედგენილობა მოქმედი სტანდარტის ნორმატივებით განისაზღვრება.

თუთის აბრეშუმხვეველს ახალი სტანდარტის 21061—75-ის მოქმედების ზონად საქართველოს სს რესპუბლიკაში შერჩეულია ბოლნისის სათაო პარკსაწარმოი — პარკის პირველადი დამუშავების ბაზა, სადაც პარკი შემოიზიდება 9 საბჭოთა მეურნეობიდან.

ახალი სტანდარტის საწარმოო გამოცდის პერიოდში (5 წელი) სარჩლოს მეკარტოფილეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობიდან შემოტანილი პარკის პარტიებში სისტემატურად შეიჩინეოდა მუსკარდინიანი პარკის მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლის საანგარიშო მასა სტანდარტის ნორმატივების შესაბამისად ბაზისური და ფაქტიური აბრეშუმთანობით ისაზღვრებოდა, ბაზისური აბრეშუმთანობის ნორმატივი 19%-ია, ამ ნორმატივის მიხედვით მეაბრეშუმების მიერ ჩაბარებული პარკის საანგარი-

შო მასა შესაძლოა ფაქტიურზე მეტი იყოს იმ შემთხვევაში თუ აბრეშუმი-
მიანობა 19,0%-ზე მეტია, ან ნაკლები — თუ 19,0%-ზე დაბალია.



ამ ნორმატივებიდან გამომდინარე სარაჩლოს საბჭოთა ეკონომიკური
დან შემოტანილი პარკის პარტიების შეფასება აბრეშუმის მიანობით დასაყრდენ
დენსოდ მოქმედი ინსტრუქციით მოტანილია 1-ელ ცხრილში.

ამრიგად, შემოწმებულია სხვადასხვა ინტენსივობით დასენიანებული
მუსკარდინიანი პარკის 21 პარტია, 557,8 კილოგრამი მასით, საიდანაც
მუსკარდინიანი აღმოჩნდა 351,4 კილოგრამი, რომლის გაორკეცებული
მასა შეადგენს 702,8 კილოგრამს, ხოლო მთლიანი მასა — 1030,4 კილო-
გრამს, რაც ფულად გამოხატულებაში უდრის 8757 მანეთს და 40 კაპიკს
(ღირებულება გაანგარიშებულია საშუალო შეწონილი ფასით, ხარისხობ-
რივი შედგენილობის მიხედვით 1 კგ — 8 მანკ 50 კაპ).

რაც შეეხება ახალი სტანდარტით, 21061—75-ით, საანგარიშო მასის
შეფასებას ფაქტიური და ბაზისური აბრეშუმის მიანობით, მიღებულია 851,8
კილოგრამი, 7239 მანეთი და 30 კაპ. ღირებულებით, ანუ 178,6 კილოგრა-
მით ნაკლები, მოქმედი ინსტრუქციით შეფასებულ მასასთან შედარებით,
რაც ფულად გამოხატულებაში 1518 მანეთით და 10 კაპ.-ით სხვაობას იძ-
ლევა.

ამრიგად, მხოლოდ პარკის მასის რაოდენობრივი სხვაობით მიღებუ-
ლია 1518 მან. და 10 კაპ. ეკონომია.

ახლა კი განვიხილოთ მუსკარდინიანი და ხარისხობრივი ნარევი პარ-
კის ტექნოლოგიური მაჩვენებლები და გამომუშავებული ხამი ძაფის ფი-
ზიკურ-მექანიკური თვისება, რომლის შედეგები წარმოდგენილია ცხრა
2-ში.

ცხრილში მოტანილი მასალები ნათლად მეტყველებს, რომ მუსკარ-
დინიან პარკში აბრეშუმის მასა 4,72 აბსოლუტური პროცენტით ნაკ-
ლებია ხარისხიან პარკთან შედარებით, ამასთან, რადგანაც აბრეშუმის მიანო-
ბასა და ძაფის გამოსაჯალს შორის დადებითი კორელაციური კავშირი არ-
სებობს, ხამი ძაფის გამოსაჯალი 6,57 აბსოლუტური პროცენტით დაბა-
ლა (33,83% ნაკვლად 40,40%), ვიდრე ხარისხიან პარკში. მნიშვნელო-
ვანი სხვაობაა აგრეთვე ხამი ძაფის სიგრძის მაჩვენებლებშიც, ასე მაგა-
ლითად, ხარისხიან პარკში შეადგენს 1036 მეტრს, ხოლო მუსკარდინიან-
ში — 848 მეტრს, ანუ 188 მეტრით ნაკლებს, ამასთან მკვეთრად განსხ-
ვავებულია ძაფის მეტრული ნომერი 3806 ნაკვლად 3345-ისა, ე. ი. მუს-
კარდინიანი პარკიდან მიღებული ძაფი მნიშვნელოვნად წმინდაა.

რაც შეეხება ხამი ძაფის ფიზიკურ-მექანიკურ მაჩვენებლებს. აღუ-
ნიშნავთ, რომ 2,33 ტექსის (ანუ 429 ნომრის) ძაფისათვის მოქმედი სტან-
დარტით შეფარდებითი გამწყვეტი ტვირთი არ უნდა იყოს 294 მილინიუ-
ტონ ტექსზე დაბალი, ხოლო შეფარდებითი გამწყვეტი სიგრძე 17,0%-ზე

Նովեմբերի 2-ին խորհրդակցության արդյունքների մասին ամօրյակը
 Երևանում Բեկարգիման խորհրդակցություն



Ամիսը	Նոյեմբերի 2-ին	Բեկարգիման խորհրդակցության արդյունքները	Բեկարգիման խորհրդակցություն		Բեկարգիման խորհրդակցության արդյունքները	Նոյեմբերի 2-ին	Բեկարգիման խորհրդակցության արդյունքների մասին ամօրյակը		Բեկարգիման խորհրդակցության արդյունքների մասին ամօրյակը		
			Հաշվարկ	Մեծ			Բեկարգիման խորհրդակցության արդյունքները	Նոյեմբերի 2-ին	Բեկարգիման խորհրդակցության արդյունքների մասին ամօրյակը	Նոյեմբերի 2-ին	
1	-	30,0	34,0	10,3	26,1	27,5	30,5	27,5	-3,0	241,20	232,75
2	0	25,0	100,0	70,0	20,0	46,9	70,0	46,9	-23,1	513,00	318,00
3	0	17,0	32,0	12,2	20,4	21,7	20,2	23,7	+6,5	248,70	192,90
4	0	11,0	61,2	25,2	21,0	24,5	56,2	34,8	-21,4	47,70	21,50
5	0	51,0	100,0	102,0	31,8	85,4	102,0	85,4	-17,6	847,60	772,0
6	0	31,0	22,4	27,4	27,5	44,5	53,4	44,5	-8,9	453,90	374,75
7	0	23,4	70,1	20,0	26,2	35,2	45,6	35,2	-10,2	266,60	200,00
8	0	27,2	97,0	26,4	23,3	65,7	73,9	65,7	-8,2	424,15	335,45
9	0	17,0	100,0	24,0	26,2	22,4	24,0	22,4	-1,6	284,00	275,40
10	0	23,00	42,0	14,5	20,0	31,9	37,5	33,9	-3,6	310,75	283,15
11	0	29,4	100,0	5,2	27,1	27,8	59,2	27,8	-1,4	502,20	410,0
12	0	45,4	72,4	23,0	29,3	70,3	76,6	70,3	-6,3	661,10	597,50
13	0	15,7	14,0	15,1	29,0	22,7	30,2	22,7	+7,5	204,70	227,55
14	0	20,0	100,0	40,0	3,0	41,0	40,0	41,0	+1,0	240,00	248,50
15	0	27,0	50,0	13,3	26,8	40,7	40,5	40,7	+0,2	244,75	247,25
16	0	33,4	100,0	66,3	20,5	41,3	66,0	41,3	-24,7	517,50	251,05
17	0	12,0	100,0	24,0	26,7	17,0	24,0	17,0	-7,0	204,70	144,50
18	0	17,0	54,0	9,2	26,1	23,4	26,2	23,4	-2,8	222,70	199,90
19	0	17,0	72,0	10,2	22,4	18,7	24,2	18,7	-5,5	200,20	154,95
20	0	23,0	28,6	28,1	21,3	26,7	44,9	26,7	-18,2	261,15	226,91
21	0	21,4	100	62,7	21,9	22,9	60,2	22,9	-17,3	537,70	447,15
		5557,8		702,8		851,8	1000,4	851,8	-148,6	8727,4	7339,50
									+3,9		

სახლისა და მეურნეობის საქონლის გაცემის ფორმა მსყიდველებს

მ. ბ. ლ. 2

საქონლის სახელი	მსყიდველის სახელი	კ. რ. ნიშნ.	საჩუქრის სახელი	საჩუქრის ღირებულება	საჩუქრის ღირებულება	საჩუქრის ღირებულება	საჩუქრის ღირებულება	საჩუქრის ღირებულება	საჩუქრის ღირებულება		
									საჩუქრის ღირებულება	საჩუქრის ღირებულება	
ბრინჯი	საჩუქრის X საჩუქრის -3	სახლის საჩუქრის	47,52	40,40	84,92	1056	3345	207,5	საჩუქრის	19,1	საჩუქრის
			43,70	37,83	78,53	846	3500	284,0	საჩუქრის	14,3	საჩუქრის

საქონლის
გაყიდვის
ფორმა



ნაკლები. მიღებული მაჩვენებლების მიხედვით ხარისხიანი პარკიდან/გამომუშავებული ძაფი ამ ნორმატივებს აკმაყოფილებს, ხოლო ქვედა ხარისხიანი პარკის ძაფის მაჩვენებლები ნორმაზე დაბალია. აქვეყნებული მაჩვენებლები 1—2 ხარისხის ძაფი ერთი ხარისხით დაბლა ფასდება, ხოლო შესაბამის ხარისხისა კი — წუნს მიეკუთვნება.

ამრიგად, მუსკარდინიანი პარკიდან გამომუშავებული ძაფი სტანდარტით გათვალისწინებულ ნორმატივებს ვერ აკმაყოფილებს.

ხარისხიანი და მუსკარდინიანი პარკიდან გამომუშავებული ხამი ძაფის რაოდენობაზე და მის ფულად ღირებულებაზე შემდეგი უნდა აღინიშნოს, როგორც ზევითაც ითქვა, მუსკარდინიანი პარკის რაოდენობა 351,4 კილოგრამს შეადგენს, რომელიც პარკსაბმობში ორი საათით შრომის შემდეგ (მუსკარდინის სპორების გაუსნებიაობის მიზნით) იგივე მასის რჩება, რომელსაც უნდა დაემატოს ხარისხიანი პარკიდან მიღებული პერმშრალი პარკი, რომლისთვისაც ცოცხალი პარკიდან პერმშრალი პარკის გამოსავლის კოეფიციენტი 2,49-ს უდრის, ასე რომ, $351,4 = 206,4$ კგ, $206,4 : 2,49 = 83$ კგ, პერმშრალი პარკი და 351,4 კგ-ის ჯამი შეადგენს 434,4 კგ-ს, იმავე რაოდენობის პერმშრალი პარკი იქნება მიღებული ცოცხალი პარკის საანგარიშო მასის აბრეშუმთანობით განსაზღვრისას (851,8 კგ). ხარისხიანი პარკიდან ძაფის გამოსავალი 40,40%-ია, ამის შესაბამისად $83 \times 40,40 = 33,5$ კგ, მუსკარდინიანი პარკიდან კი 33,83%-ია. შესაბამისად $351,4 \times 33,83 = 118,9$ კგ-ს, რომელსაც დაემატება 33,5 კგ ხარისხიანი პარკიდან მიღებული ძაფის მასა, რაც საერთო ჯამში შეადგენს 152,4 კგ-ს, ე. ი. ერთი კილოგრამი ხამი ძაფის მისაღებად მოქმედი ინსტრუქციით განსაზღვრული პარკის მასის 1030,4 კგ-ს ანგარიშიდან საჭიროა 6,8 კგ, ხოლო აბრეშუმთანობით განსაზღვრული ცოცხალი პარკის საანგარიშო მასიდან კი (851,8 კგ : 152,4 კგ-ზე) 5,6 კგ, ანუ 1,2 კგ-ით ნაკლები, ამრიგად ძაფის გამოსავლიანობის მიხედვით განგარიშებული ეკონომიკური ეფექტი დაახლოებით იგივე თანხას შეადგენს (1520 მან-ს), რაც მიღებულია პარკის საანგარიშო მასის განსხვავებით.

ჩატარებული სამუშაოს შედეგად მიღებული მასალები საფუძველს გააძლევს დავასკვნათ, რომ მუსკარდინიანი პარკის მასის შეფასება უნდა წარმოებდეს ბაზისური და ფაქტიური აბრეშუმთანობით, შესაბამისად ცოცხალი პარკის ახალი სტანდარტის — ГОСТ-21061-75-ის ნორმატივებისა და არა მასის გაორკეცებით, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით გამართლებულია, ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ მუსკარდინიანი პარკიდან გამომუშავებული ხამი ძაფი თავისი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლებით მკვეთრად ჩამორჩება ხარისხიანი პარკიდან მიღებულ ხამ ძაფს, რაც გადამუშავების შემდგომ პროცესებზე მუშახელის და დაზგა-დანადგართა დაბალ ნაყოფიერებას განაპირობებს და ძაფის ნაწიწის რაოდენობაც იზრდება.



1. Ованесян Т. Т., Одикадзе В. В., Гадахабадзе В. И. Технологические свойства мускардинных коконов. Журн. «Текстильная промышленность», № 3, 1953.
2. Одикадзе В. В., Гадахабадзе В. И. Термическое обеззараживание мускардинных коконов. Журн. «Шелк», № 3, 1967.
3. ГОСТ 8417-57 — коконы живые тутового шелкопряда.
4. ГОСТ 21061-75 — коконы живые тутового шелкопряда.



УДК 638.238:631.52

ლ. ბაბლიაშვილი,
პ. ნასყილაშვილი, მ. შაბლოვსკაია

კიბიური მებაგენების გავლენა თუთის თესვის სივრცის სუბინტენსიანობაზე

საქართველოს მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მებაგენშემოხებას, რომლის შემდგომი აღმავლობა დიდად არის დამოკიდებული მეთუთეობის განვითარებაზე.

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა და მათ შორის თუთის ფოთლის მოსავლიანობის გადიდებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა შორის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დაავადებისადმი გამძლე მალაპროდუქტიულ ჯიშს.

გენეტიკური და სელექციური გამოკვლევებით დადგენილია, რომ თანამედროვე თუთის ჯიშში უნდა ხასიათდებოდეს შემდეგი სამეურნეო და ბიოლოგიური ნიშან-თვისებების კომპლექსით. როგორცაა: არაბელ-საყრელი პირობებისადმი გამძლეობა, დაავადებისა და მავნებლებისადმი გამძლეობა, ვეგეტატიური ნაწილის სწრაფი ზრდა, ფოთლის მაღალი კვებითი ღირსება და სხვა. ასეთი ჯიშის მიღება და წარმოებაში დანერგვა გენეტიკურ და სელექციურ მეცნიერებათა გადაუდებელი ამოცანაა.

სამამულო და მსოფლიო მეცნიერების პრაქტიკა ნათლად გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ტიპის ჯიშების შექმნა შესაძლებელია მაშინ, თუ გვექნება შესაბამისი საწყისი მასალა [2,4]. საწყისი მასალა, მიუთითებდა ნ. ი. ვავილოვი, სელექციის ქვაკუთხედი. ისე, როგორც ინჟინრისათვის აუცილებელია საიმედო საშენი მასალა, აღნიშნავდა პ. მ. ქუცოვსკი, ასევე სელექციონერისათვის აუცილებელია ბოტანიკურად და გენეტიკურად მეტად მრავალფეროვანი საწყისი მასალა [3].

თუთის ახალმა ინფექციურმა და მეტად საშიშმა დაავადებამ ფოთლის სიხუტუქემ, რომელიც სწრაფად გავრცელდა დასავლეთ საქართველოში, მკვეთრად შეამცირა თუთის აბრეშუმხვევიას საკვები ბაზა, რამაც შესაბამისად გამოიწვია საქართველოში აბრეშუმის პარკის დამზადების მნიშვნელოვანი შემცირება.



მეცნიერული გამოკვლევებით დადგენილია, რომ თუთის არსებულ გენოფონდში ჯერ არ არის დაავადება წვრილფოთოლა სიხუტუქისადმი მშენური ჯიში, თუმცა თუთის არსებული ჯიშების ნაწილში ამ დაავადებისადმი ამტანობა და იძლევა ფოთლის შედარებით მისაჯალს.

დღემდე ჩატარებული გამოკვლევების ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ შეაბრეშუმების საყვები ბაზის აღდგენის და განმტკიცების საქმეში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება გამძლე ჯიშების გამოყვანას და მათ წარმოებაში დანერგვას.

ამიტომ მეთუთე სელექციონერების წინაშე დგას ამოცანა — შეიქმნას თუთის ახალი ჯიშები, რომლებსაც მაღალ სასოფლო-სამეურნეო ღირსებასთან ერთად ექნება დაავადება წვრილფოთოლა სიხუტუქისადმი გამძლეობა.

თუთის სელექციაში, ახალი ჯიშების გამოყვანის ან არსებული ჯიშების გაუმჯობესების ტრადიციული მეთოდების გამოჩენისა და პიბრიდიზაციის პარალელურად, დაწყებული იქნა ბირთვული ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის დარგში მოპოვებული მეთოდების ინდუქციურებული პოლიპლოიდის და მუტაციის გამოყენება.

სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე ჩატარებული გამოკვლევების ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ მაღალბროდუქტიული და გამძლე ჯიშების გამოყვანაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქიმიური მუტაგენების გამოყენებას.

ქიმიური მუტაგენების გამოყენებით მიიღება ახალი, სელექციონერისათვის მეტად მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებების მატარებელი ფორმები [5, 6, 7, 8, 9]. ამ მეთოდების გამოყენებით მიღებულია მრავალი ასეთი საწარმოო მნიშვნელობის ჯიში.

წინამდებარე შრომაში მოცემული გვაქვს თუთის სხვადასხვა ჯიშის თესლის სიცოცხლისუნარიანობაზე, კერძოდ აღმოცენებაზე და მცენარეთა გადარჩენაზე სხვადასხვა ქიმიური მუტაგენის გავლენის შესწავლის შედეგები.

ჩვენი კვლევის საწყის მასალად აღებული იქნა რეპროდუქციის შედარებით უფრო გავრცელებული კლონური სელექციით და სახეობათაშორისო პიბრიდიზაციით მიღებული თუთის ჯიშები: გრუზიას, ივერიას და ქუთათურის თესლი, ე. ი. ისეთი ჯიშები, რომელთა ზოგიერთი სამეურნეო მაჩვენებლები გაუმჯობესებას მოითხოვს.

1. „გრუზია“ — (M. Kagayamae Koids), 22n = 28 (1) კლონური სელექციით მიღებული ჯიშია. მცენარე ხასიათდება ძლიერი ზრდით და სწორი შტამბით. ვარჯი დიდი და კომპაქტურია, ხშირი და ძლიერი ტოტეებით. მცენარის წლიური ნაზარდი აღწევს 29—30 მ. ერთწლიანი ტო-

ტი სწორმდგომი ან ოდნავ მოხრილია, მუხლიანი, ღია ყავისფერი ან მუხლთშორისის სიგრძე 6—7 სმ, კვირტი დიდი, ყავისფერი. მსხვილი წვერით, მიტმასნილი. ფოთოლი დიდი (29X23) მწვანე ფერის, მთლიანფირფიტისანი, წაგრძელებული გულისებრი, რბილი, სწორკეობისა, აირფიტით, სწორი კიდეებთან სუსტად შეკეცილი, საშუალო-სიხვიანად ზედაპირით, კიდე არათანაბარი, ხერხებილი, წვერი მახვილი, წაგრძელებული, ფუტე საშუალო სიდიდის ჩაღრმავებით, ყუნწი მსხვილი, ცილინდრული, ვიწრო ღრმა ღარით, სიგრძე 5—6 სმ.

ჯიში მდედრობითია — ახასიათებს საშუალო ინტენსივობის მსხმოიარობა. ნაყოფი მეტი ალუბლისფერია, მსხვილი და წაგრძელებული გრძელყუნწიანი. ინარჩუნებს გამზარ დინგს. ნაყოფი წვნიანია და ხასიათდება მომავო ტყბილი გემოთი.

„გრუზია“ ახასიათებს კალმების დიდხანს შენახვის უნარი, მცნობისას ხასიათდება მაღალი გახარებით. განსაკუთრებით მიმღებია და ავადება წვრილფოთოლი სიხუტუქის მიმართ, ასევე ძლიერ ავადდება ბაქტერიოზით.

2. „ქუთათური“ (*M. Alba L.*) $2n=28$ ჯიში გამოყვანილია კლონური სელექციით.

მცენარეები ხასიათდება სწორი, ძლიერ განვითარებული შტამბით, ვარჯი — დიდი, კარგად განვითარებული, ოდნავ გაშლილი, არაკომპაქტური. ერთწლიანი ტოტი სწორია, საშუალოდ 2 მ სიგრძის ნაცრისფერი კანით, მუხლთშორისის სიგრძე 3—4 სმ. კვირტი დიდი, ღია ყავისფერი ან მოვარდისფრო, წამახვილებული, მიტმასნილი, ფოთოლი დიდი [26X21], მწვანე წაგრძელებული გულისებრი, მთლიანფირფიტისანი, გლუვი ზედაპირით, ყუნწის სიგრძე 5—6 სმ. ჯიში მდედრობითია, უხვად მსხმოიარეა. ნაყოფი დიდი და მკვრივია, წაგრძელებული ცილინდრისებრი, მეტი წითელი გრძელი ყუნწით. ტოტზე მკვიდროდ და ჯგუფებად მჯდომი. ჯიში რეკომენდებულია, როგორც მდედრობითი კომპონენტი სათესლე-სადედე პლანტაციისათვის. თესლის თესვის შემთხვევაში იძლევა მაღალხარისხოვან ერთგვაროვან თაობას.

კალმები კარგად ინახება (+ 2+3°C) მაისის ბოლომდე, ქუთათური წვრილფოთოლი სიხუტუქის მიმართ ითვლება შედარებით გამძლე ჯიშად. სუსტად ავადდება ბაქტერიოზით.

3. „ვერია“ — მიღებულია სახეობათაშორისი ჰიბრიდიზაციის გზით, რომლის საწყისი ჯიშებია გრუზია (♀) *M. (Kagayamae Koids)* და ჰიბრიდი — 7 (♂) (*M. Alba L.*) $2n=28$. ახასიათებს კარგად განვითარებული სწორი შტამბი, ვარჯი კომპაქტური, ოვალური კონუსისებრი ფორმით. წლიური ნაზარდი 33—34 მ ერთწლიანი ტოტი სწორმდგომი, ოდნავ დამუხლული მონაცრისფრო-ყავისფერია. მუხლთშორისი

ა, 5—6,0 სმ. კვირტი დიდი, ყველაფერი წამახვილებული წვერით. მიწის
ნილი, ფოთოლი დიდი ზომის, მუქი მწვანე, ფართო გულისებრი, ნილი,
სქელი ფირფიტით, არასწორი პრიალა ზედაპირით, კიდურები მუქი
ხეჩბებია. წვერი მახვილი და წაგრძელებული, ფირფიტისებრი მუქი
ოვალური მარცხენი სუსტად შებუსუსი, ყუნწი სქელი, ცილინდრული სუსტი
ღარით. 4,0—5,0 სმ სიგრძის. ჯიშში მდებარეობითა. საშუალო მსხმოიარე,
ნაყოფედი მომრგვალო ოვალური, არათანაბარი (მსხვილი და საშუალო)
ზომის. შენარჩუნებული აქვს გრძელი გამხმარი ღინჯი. ნაყოფი ალუბ-
ლისფერი, წვნიანი და ტკბილი.

ტოტის შეფოთვა იწყება ადრე და თანაბრად. ჯიშში მალაღმოსავ-
ლიანია. ფოთოლი მალე კვებითი ღირსებისაა. კალმები კარგად უძლებს
ზანაზნაღ შენახვას. კვირტის გახარების პროცენტი მყნობის ყველა ვა-
დაში მაღალია. წერილფოთოლა სიხუტეებისაღნი შედარებით გამძლეა.

ღნიშნული ჯიშების თესლის დასამუშავებლად გამოყენებული იქნა
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუ-
ტის მიერ შემუშავებული შემდეგი ქიმიური მუტაგენები:

1. N — ნიტროზო — N — მეთილმარდოვანა (HMM);
2. N — ნიტროზოდი — N — მეთილმარდოვანა (HDMM);
3. დიმეთილსულფატა (DMC).

ჩვენ მიერ შერჩეული მუტაგენებიდან დამზადებული იქნა შვიდი
კონცენტრაციის (0,005, 0,007, 0,01, 0,02, 0,03, 0,05, 0,07) წყალხსნარი,
თითოეული მუტაგენის სხვადასხვა კონცენტრაციის წყალხსნარში დამუ-
შავებული იქნა თვისუფალი დამტვერვით მიღებული თეთის თითოეუ-
ლი ჯიშის 1000—1000 ცალი თესლი, 18-საათიანი ექსპოზიციით.

ცდის თითოეული ვარიანტისათვის აღებული გეკონდა სამ-სამი გან-
მეორება, ხოლო შესადარებლად — საკონტროლოდ გამოყენებულ იქნა
ჩვეულებრივ წყალში დამუშავებული თესლი. თეთის თითოეული ჯიშის
თესლი აღნიშნული კონცენტრაციის წყალხსნარებში დამუშავდა 20—26
აპრილს და დაითესა ღია გრუნტში 2—3 სმ სიმაღლეზე.

მცენარეთა აღზრდისათვის გამოყენებულ იქნა სარწყავი და მალალი
აგროტექნიკური პირობები. ყველა თანმდევი დაკვირვება და აღრიცხვა
ტარდებოდა მიღებული მეთოდის საფუძველზე.

აღმოცენებულ მცენარეთა პროცენტული ოდენობა განსაზღვრულ
იქნა ცდის თითოეულ ვარიანტსა და განმეორებაში, აღმოცენებულ მცე-
ნარეთა დათესილ მარცვლებთან შედარებით. გადარჩენილ მცენარეთა
პროცენტული ოდენობა დადგენილ იქნა გვიან შემოდგომაზე აღრიცხულ
მცენარეთა შედარებით. აღმოცენებულ მცენარეთა რაოდენობასთან.

თეთის თითოეული ჯიშის თესლის ქიმიური მუტაგენების სხვადა-
სხვა კონცენტრაციის წყალხსნარში დამუშავების შედეგად მიღებული

აღმოცენებულ მცენარეთა რაოდენობის შესწავლის შედეგები წარმოადგენს ბირველ ცხრილში, ხოლო გადათენილ მცენარეთა შესწავლის შედეგები - მე-2 ცხრილში.



აღმოცენებულ მცენარეთა პროცენტული ოდენობის განსხვავებულობა ღია ნათლად გვიჩვენებს, რომ თეთის თიხათუფლი ჯიშის განსხვავებულ ოდენობებს ახდენს როგორც ქიმიური მუტაგენების მიმართ, ასევე თიხათუფლი კონცენტრაციის წყალსნარების საფუძველზე, ე. ი. ხასიათდება განსხვავებული მგრამობიარობით.

0,005% წყალსნარით თესლის დამუშავებისას საკონტროლო ვარიანტთან შედარებით ყველა ქიმიური მუტაგენი მნიშვნელოვნად ამცირებს თესლის აღმოცენების უნარიანობას, მაგარი შედეგია მიღებული 0,007% წყალსნარით დამუშავებისას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წყალსნარის კონცენტრაციის ვადიდებით თესლის აღმოცენების უნარი კი არ მცირდება, არამედ ადგილი აქვს ცდის ზოგიერთ ვარიანტში აღმოცენებულ მცენარეთა რაოდენობის პროცენტული ოდენობის გადიდებას, არა მარტო დაბალი კონცენტრაციის ვარიანტებთან შედარებით, არამედ, აგრეთვე საკონტროლო ვარიანტებთან შედარებითაც. ამ მხრივ მუტად საყურადღებო აღმონდა ნიტროზოდიმეთილშარდოვანას 0,01%-იანი წყალსნარის მოქმედება თეთის ჯიშების ქუთათურის და გრუზიას მიმართ. ამ ქიმიური მუტაგენის ზემოქმედებისას 0,01% წყალსნარით მნიშვნელოვნად მატულობს თესლის აღმოცენების უნარიანობა (2,8%-დან 9,7%-მდე). წყალსნარის კონცენტრაციის გადიდებით თავს იჩენს ქიმიური მუტაგენების ზემოქმედების განსხვავებულობა და თეთის ჯიშების ინდივიდუალური დამოკიდებულება მუტაგენების მიმართ.

0,02% კონცენტრაციის წყალსნარით ზემოქმედებით თეთის ჯიშის ქუთათურის თესლის აღმოცენებაზე დადებითად მოქმედებს დიმეთილსულფატი, იგივე ჯიშზე თესლის აღმოცენების უნარიანობა მატულობს ამავე ქიმიური მუტაგენის 0,03% წყალსნარით ზემოქმედებისას.

საკონტროლო ვარიანტთან შედარებით ქიმიური მუტაგენების ზემოქმედებით მიღებულ გადარჩენილ მცენარეთა რაოდენობაში იგივე კანონზომიერება შეიმჩნევა, რასაც ადგილი ჰქონდა თესლის აღმოცენების უნარიანობაზე. ცდის ყველა ვარიანტზე გადარჩენილ მცენარეთა რაოდენობა ნაკლებია საკონტროლო ვარიანტთან შედარებით, მაგრამ ადგილი აქვს გადარჩენილ მცენარეთა პროცენტულ ოდენობის მატებას ჯიშ ქუთათურის ნიტროზოდიმეთილ შარდოვანის 0,01%-იანი წყალსნარით თესლის დამუშავებისას და იგივე ჯიშის თესლის დიმეთილსულფატის 0,02 და 0,03%-იანი წყალსნარით დამუშავებისას.

ამრიგად, ჩვენ მიერ მიღებული შედეგების ანალიზით შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი სახის დასკვნები:

Հիմնական բարձրագույն ազդեցության ուղեղի և ուղեղի խոռոչների զննումներ

ԻԶՑ	Ինքնուրույն և/կամ հետազոտող	0,005		0,001		0,01		0,02		0,03		0,05		0,1		
		ՀՀ	ՀՀ	ՀՀ	ՀՀ	ՀՀ	ՀՀ	ՀՀ	ՀՀ	ՀՀ	ՀՀ	ՀՀ	ՀՀ	ՀՀ	ՀՀ	
1.	Ստրոնցիոն ԴՄԿ ԻԶՑԱԿ	10,7	5,2	—	2,5	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
		10,7	9,4	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
		10,7	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
2.	Ստրոնցիոն ԴՄԿ ԻԶՑԱԿ	10,0	7,5	—	2,5	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	
		10,0	10,0	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
		10,0	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
3.	Ստրոնցիոն ԴՄԿ ԻԶՑԱԿ	10,0	4,0	—	2,5	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	
		10,0	3,1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
		10,0	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—



1. თუთის სხვადასხვა ჯიშის თესლის სიცოცხლისუნარიანობა დასრულებულია მათ გენოტიპზე;

2. ცალკეული თუთის ჯიშის თესლი ინდივიდუალურ ლეგირებულ ლებას ავლენს თითოეული ქიმიური მუტაგენის მიმართ და ბიბლიოქიმიკაში ირად რეაგირებს მის მოქმედებაზე.

ლიტერატურა — Литература

1. გ. ზეიდაძე, მ. შაბლოვსკაია, გ. ჯაფარიძე. თუთის სელექცია. თბილისი, „ცოდნა“, 1964.
2. Ф. Бригге, П. Ноулз. Научные основы селекций растений. М., «Колос», 1972.
3. Генетические основы селекции растений на иммунитет. М., «Наука», 1973.
4. Практические задачи генетики в сельском хозяйстве. М., «Наука», 1971.
5. Химический мутагенез и иммунитет. М., «Наука», 1980.
6. В. Копань, К. Н. Копань. Чувствительность семян яблони к химическим мутагенам. Химический мутагенез и гибридизация. М., «Наука», 1978.
7. Р. К. Козикова. III симпозиум по полиплодии у шелковицы. Баку, «ЭЛМ», 1978.
8. Р. К. Козикова. Применение химических мутагенов в селекции шелковицы. «Шелк». 1975.

УДК 634.38

მ. კაკაულია, ი. ხოტორელიანი,
ა. შინგულია, რ. კვაპაძე,
ზ. ფუტყაძე

აზერბაიჯანის სსრ თუთის ჯიშების გაშლათა
ფოთლის სიხუტისადმი

თუთის ავადმყოფობათა შორის ფოთლის სიხუტეზე მეტად მკვნი და საშიშ დაავადებას წარმოადგენს. იგი სწრაფად გავრცელდა დასავლეთ საქართველოს პირობებში, მიიღო ეპიფიტოტიის ხასიათი და 15 წლის მანძილზე მოიცვა მებარეშემოების ყველა რაიონი. ავადმყოფობის შედეგად თითქმის მთლიანად (80%-მდე) განადგურდა თუთის საკვები ბაზა. რამაც თავის მხრივ გამოიწვია რესპუბლიკაში აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმის მნიშვნელოვანი შემცირება.

იაპონიაში ეს დაავადება ჯერ კიდევ გასული საუკუნიდან (1821 წლიდან) არის ცნობილი თუთის ჭუჭიანობის სახელწოდებით და მხოლოდ 1930 წელს იქნა დადგენილი მისი ინფექციური (ვირუსული) ხასიათი. მოგვიანებით — 1967 წელს იაპონელმა მკვლევარებმა [3] დაავადებული ფოთლების და ტოტების ელექტრონულ-მიკროსკოპული შესწავლისას გამოთქვეს მოსაზრება ამ დაავადების მიკობლაზმური ბუნების შესახებ, ხოლო 1970 წელს საბოლოოდ იქნა დადგენილი მისი მიკობლაზმური ეთიოლოგია.

დადგენილია, რომ საქართველოში გავრცელებული თუთის ფოთლის სიხუტეზე თავის ინფექციური ხასიათით, სიმპტომებით, ნაკვეთებზე დაავადებული მცენარეების გავრცელების კერული ხასიათით და ინფექციის გადაცემის ვხებით იდენტურია იაპონიაში არსებული თუთის ჭუჭიანობისა.

ავადმყოფობა ვრცელდება დაავადებული სარგავი და სანამუყენე მასალით [5, 8, 10] და გადამტანი მწერით — *Hishimonus sellatus* Uhler [2, 4]. იაპონიის პირობებში ინფექციის გადამტანად ითვლება აგრეთვე მეორე მწერი — *Hishimonoides sellatiformis* (yschiara). გადამტანი მწერი ვეგეტაციის პერიოდში იძლევა 3 გენერაციას, იზამთრებს კვერცხის ფაზაში. ინფექციის გადაცემა არ ხდება თესლით, ნიადაგით და მუქა-



ნიკური გზით — დაავადებული მცენარის წვენით. ინფექცია არ ვარაუდობს აგრეთვე ბუგრებით, ტუიებით და ცრუფარისანებით [4].

ავადმყოფობის განვითარების ხელშეწყობ ფაქტორებს წარმოადგენს ექსპლოატაცია (განსაკუთრებით ინტენსიური და დაგვიანებული) მუშაობის მაღალი ტემპერატურა და ტენი, ქვიშიანი ნიადაგები, აზოტის მაღალი დოზები, გადამტანის მაღალი ცხოვრობა, ინფექციის სიკვარბე და სხვა [4, 8].

ავადმყოფობა გვხვდება აგრეთვე ჩინეთსა და კორეაში.

იაპონიაში ამ დაავადების საწინააღმდეგოდ ტარდება შემდეგი ძირითადი ღონისძიებანი:

1. ავადმყოფი მცენარეების განადგურება დაავადების ინტენსივობის მიუხედავად;

2. პლანტაციების გაშენება გამძლე ჯიშებით;

3. ქიმიური ბრძოლა გადამტანი მწერების საწინააღმდეგოდ: მცენარეების შესტურება ფოსფორ-ორგანული პრეპარატებით — ერსანით, მოზამთრე კვერცხების საწინააღმდეგოდ და მაროსანით — გადამტანი ზაფხულის თაობების წინააღმდეგ;

4. სანერგეებში საღი სარგავი მასალის გამოზრდა და მათი იზოლიაცია თუთის სამეურნეო ნარგავობებიდან;

5. ძლიერ დაავადებულ მცენარეებზე გაზაფხულის ექსპლოატაციის აკრძალვა;

6. ადრე გაზაფხულზე (თებერვალში) დაავადებულ მცენარეებზე ტოტების წაჭრა დაავადების ინტენსიობის შემცირებისა და გადამტანი მწერის ზამთრის კვერცხების მოსპობის მიზნით [4].

იაპონელი მკვლევარების ზრით, თუთის ჯუჯიანობის წინააღმდეგ გამძლე ჯიშების შერჩევა, მათი ფართო გავრცელება წარმოადგენს ბრძოლის გამძლევეტ, გამაფრთხილებელ ღონისძიებას. ამ დაავადების თავიდან ასაცილებლად, აღნიშნავენ ისინი, სხვა ღონისძიებანი რაგინდ დროულად და კარგად არ იქნეს ჩატარებული. სასურველ ეფექტს არ იძლევა

ა. ა. იანეცკი [11] ჯერ კიდევ 1911 წელს აღნიშნავდა, რომ პრაქტიკული ფიტოპათოლოგიის მთელი ძალა გამძლეობაშია და ყოველგვარი სხვა სამკურნალო ღონისძიებანი მხოლოდ ბრძოლის დამხმარე მეთოდად ითვლება. ავტორის აზრით, დაავადების მიერ გამოწვეული ზარალი შესაძლებელია შეიზღუდოს ან მთლიანად გაქრეს გამძლე ნაირსახეობების ან კულტურული ჯიშების მკაცრი შერჩევით.

ნ. ი. ვავილოვა [1], რომელიც მცენარის იმუნიტეტის ფუძემდებლად ითვლება, ვრცელ მასალაზე შეისწავლა მრავალი კულტურული მცენარის გამძლეობა დაავადებათა მიმართ და დაადგინა რიგი კანონზომიერება მათი დაავადებისადმი იმუნიტეტის გამოვლინებაში. მკვლევარი აღნიშნავს, რომ როგორც ავადმყოფობისადმი გამძლე, ასევე მიმღებანი

მცენარეთა სახეობებისა და ჭიშების ფარგლებში გვხვდება დიდ სიხშირეში ნაირფეროვნება იმუნურობის მხრივ, რაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სელექციურ მუშაობაში.

იმუნური ან გამძლე ჭიშების გამოყენება წარმოადგენს უმეტეს შემთხვევაში სრულყოფილ მეთოდს მცენარის ყველა დაავადების წინააღმდეგ. მას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თეთის ფოთლის სიხუტუქის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლის გამომწვევი მიკოპლაზმურ ორგანიზმთა ჯგუფს მიეკუთვნება და რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა, მსგავსად ვირუსული დაავადებებისა, მეტად გართულებულია, რადგან გამოყენებული ქიმიური და აგროტექნიკური ღონისძიებანი ვერ ახდენენ მავნეობის ლიკვიდაციას.

იაპონური მონაცემებით და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღე-მეცნიერის ფაკულტეტის მიერ [4, 9] დადგენილია თეთის განსხვავებული გამძლეობა ფოთლის სიხუტუქისადმი.

იაპონიაში ამ დაავადების მიმართ იმუნური ჭიში არ აქვთ. გამძლე ჭიშებად ითვლება: იჩინოზე, ძიუმონძი, როხაიჩი, აკამეროსი, როსო, კამასირი, ასანუკი, ხუკანუკი, ოშიმა, შიუჯაკოჩი, ნედოიატაკასუე და სხვა. მებაღე-მეცნიერის ფაკულტეტი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს ამ დაავადებისადმი თეთის გამძლე ჭიშებისა და ფორმების გამოვლინებას.

გამძლეობაზე იცდება თეთის 500-მდე ჭიში და ფორმა, როგორც სამკულო, ასევე საზღვარგარეთული წარმოშობის (იაპონური, ევროპული, ჩინური, კორეული, შუა აზიის, აზერბაიჯანის, რსფსრ-ის, უკრაინის და საქართველოს). გაშენებულია ჭიშთგამოცდის ნაკვეთები თითოეული ჭიშის არანაკლები 10 მცენარისა.

გამძლეობის შესწავლა წარმოებს დაავადებულ ზონაში. ჭიშების იმუნოლოგიური შეთასებისათვის გამოყენებულია ბუნებრივი მკაცრი პროოფიციული და ხელოვნური ინფექციური ფონი. ხელოვნური ექსპერიმენტული დასენიანება წარმოებს ქსოვილების ტრანსპლანტაციის მეთოდით. დაავადების აღრიცხვა ხდება ბუნებრივ-პროოფიციულ პირობებში ექსპლანტაციამდე და ექსპლანტაციის შემდეგ — დაავადების მაქსიმალური გამოვლინებისას მთელი ვეგეტაციის პერიოდში აღრიცხვა ხდება დაავადების პროცენტი და მისი ინტენსივობა (დაავადების განვითარების პროცენტი). ცალკეული მცენარეები დაავადების ინტენსივობის განსაზღვრა წარმოებს ოთხ ბალიანი სკალით. დაავადების მიერ გამოწვეული ზარალის აღრიცხვა წარმოებს სალი და დაავადებული მცენარეების ფოთლის მოსავლის შედარებით. ჭიშების იმუნოლოგიური შეფასება წარმოებს მცენარეების ექსპლანტაციაში შესვლიდან არანაკლები 3 და მეტი წლის განმავლობაში. ჭიშების შეფასება იწყება დარგვის მომენტიდან და ვრცელდება 6—7 წელს. მიმღებიანი ჭიშებისათვის შეფასების ვადა უფრო ადრე მთავრდება.

ის შემთხვევაში, თუ მრავალი წლის დაკვირვების შედეგად გამოვლენილი იქნება დაუავადებელი ჯიში ან ფორმა, ასეთ მცენარეებს სპეციალური გამოიყენების ლატენტური ინფექციის გამოვლენისათვის გამოიყენება პროვოკაციული ტესტები (დაგვიანებითი ექსპლანტაციის მალალი დოზები, ნიადაგში მალალი ტენი და სხვა), ხოლო მცენარეების ავთვისათვის გამოიყენება ინდექსიკაციის მეთოდი — მცენარე ინდექსორების გამოყენებით. ჯიშები, რომლებიც გამძლეობის მხრივ დადებით შეფასებას მიიღებენ, გამრავლებიან შიდასაინსტრუქტო გამოცდისათვის, სადაც გაგრძელდება მათი იმუნოლოგიური შეფასება და შეიწყველება ძირითადი სამეურნეო ნიშან-თვისებები.

ჯიშის გამძლეობის დასადგენად დაავადების მაჩვენებლებთან ერთად საჭიროა ფოთლის მოსავლის მაჩვენებლებიც, რადგან დაავადება ხასიათდება ლატენტურობით — ავადმყოფობის ამყარა სიმპტომების შენიღბებით და ხშირ შემთხვევაში დაავადებულ მცენარეს მივიჩნევთ „საღად“, რომელზეც მოსავალი მნიშვნელოვნადაა შემცირებული, ამიტომ დაავადების და ფოთლის მოსავლის მაჩვენებლების დაპირისპირება უფრო სწორ პასუხს გვაძლევს.

ჯიშები და ფორმები ფასდება დაავადების საშუალო პროცენტის მიხედვით ექსპლანტაციის შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში და ჩვეულებად შემდეგნაირად: I — იმუნური ჯიშები — არ ავადდებიან; II — გამძლე ჯიშები — ავადდებიან 10%-მდე; III — შედარებით გამძლე ჯიშები — ავადდებიან 25%-მდე; IV — საშუალო მიმდებიანი ჯიშები — ავადდებიან 50%-მდე; V — მალალო მიმდებიანი ჯიშები — ავადდებიან 50%-ის ზემოთ.

ჩვენ შეფასებისას ყურადღებას ვაქცევთ და ვრიცხავთ აგრეთვე ჯიშის დაავადების მაქსიმალურ პროცენტს გამოცდის ვადაში და დაავადების პროცენტს ექსპლანტაციამდე, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ შეფასებისას.

აზერბაიჯანის 47 ჯიშიდან (იხ. დანართი) იმუნურ ჩვეულებში არც ერთი ჯიში არ მოხვდა, გამძლე ჩვეულებში მოხვდა 3 ჯიში: ანა-ტუტ, აზერბ-21 და აზერბ-66; 15 ჯიში მოხვდა შედარებით გამძლეობაში აზერბ-4, აზერბ-24, აზერბ-10, აზერბ-32, ზარიფ-ტუტ, ვატან-ტუტ, ვაგიფ-ტუტ და სხვა); საშუალო მიმდებიან ჩვეულებში მოხვდა 17 ჯიში (სელ-49, ტოზლან-ტუტ, სელ-17, ზაკირ-ტუტ, მაქსულ-ტუტ, იაგუბ-ტუტ და სხვა); ხოლო ძლიერ მიმდებიანებში მოხვდა 12 ჯიში (აზერბ-43, 79/60, ზალატისტაია, აზერი-ტუტ, სელ-90, აბშერონ-ტუტ და სხვა).

ამგვარად, გამოცდილი 47 ჯიშიდან 6,4% მოხვდა გამძლე ჯიშებში, 32% შედარებით გამძლეობაში, 35,8% საშუალო მიმდებიანებში, ხოლო 25,6% ძლიერ მიმდებიანებში, ე. ი. ჯიშების 60% მოხვდა მიმდებიანებში.

უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანის ჯიშებს შორის გვხვდება ჯიშები, რომლებიც დაავადების მაჩვენებლის მიხედვით საშუალო მიმდებიანს

Աղանդների բնիկի ցուցակի երկրային արտադրանքի ցուցակ (4 հարկային խումբ)



I- խումբ				II- խումբ				III- խումբ				IV- խումբ				V- խումբ			
արտադրանքի անունը				արտադրանքի 10%-անոց ցուցանիշ				արտադրանքի 25%-անոց ցուցանիշ				արտադրանքի 50%-անոց ցուցանիշ				արտադրանքի 75%-անոց ցուցանիշ			
Կոդ	Միավոր	Միավորի քանակ	Միավորի արժեքը	Կոդ	Միավոր	Միավորի քանակ	Միավորի արժեքը	Կոդ	Միավոր	Միավորի քանակ	Միավորի արժեքը	Կոդ	Միավոր	Միավորի քանակ	Միավորի արժեքը	Կոդ	Միավոր	Միավորի քանակ	Միավորի արժեքը
				46.000	Սև շապուկ	0	33,3	Սև շապուկ-4	13,9	22,3	66,6	47,1	22,3	75,0	Սև շապուկ-75	93,7	100	100	
				46.000	Սև շապուկ-10	0	16,6	Սև շապուկ-24	14,5	22,2	54,5	43,3	22,2	66,6	Սև շապուկ-75	43,3	37,5	100	
				46.000	Սև շապուկ-10	0	33,3	Սև շապուկ-10	14,5	0	62,5	43,4	42-8	100	Սև շապուկ-75	1,2	34,3	100	
				46.000	Սև շապուկ-24	0	17,5	Սև շապուկ-3	14,3	50,0	17	43,4	42-8	100	Սև շապուկ-75	0	0	0	
				46.000	Սև շապուկ-76	0	18,0	Սև շապուկ-76	11,2	37,5	4	41,7	26,3	24,5	Սև շապուկ-76	84,0	20,0	100	
				46.000	Սև շապուկ-90	0	20,0	Սև շապուկ-90	20,5	42,8	0	41,7	26,3	24,5	Սև շապուկ-90	0	0	0	
				46.000	Սև շապուկ-90	0	20,4	Սև շապուկ-90	25,0	37,5	0	39,6	25,0	100	Սև շապուկ-90	80,2	0	100	
				46.000	Սև շապուկ-90	0	21,1	Սև շապուկ-90	11,1	37,5	0	39,6	25,0	100	Սև շապուկ-90	65,0	0	100	
				46.000	Սև շապուկ-90	0	22,5	Սև շապուկ-90	10,0	55,5	0	39,6	25,0	100	Սև շապուկ-90	0	0	0	
				46.000	Սև շապուկ-90	0	22,0	Սև շապուկ-90	26,3	4,5	0	39,6	25,0	100	Սև շապուկ-90	62,6	18,1	90,7	
				46.000	Սև շապուկ-90	0	22,3	Սև շապուկ-90	20,0	10,0	0	39,6	25,0	100	Սև շապուկ-90	0	0	0	
				46.000	Սև շապուկ-90	0	22,3	Սև շապուկ-90	24,0	18,1	66,5	34,0	18,1	66,5	Սև շապուկ-90	62,0	42,8	13,3	
				46.000	Սև շապուկ-90	0	23,5	Սև շապուկ-90	16,8	55,5	0	33,7	25,0	75,0	Սև շապուկ-90	60,7	15,5	100	
				46.000	Սև շապուկ-90	0	23,6	Սև շապուկ-90	4,6	44,4	0	33,0	0	100	Սև շապուկ-90	0	0	0	
				46.000	Սև շապուկ-90	0	23,9	Սև շապուկ-90	8,3	27,2	0	31,9	0	50,0	Սև շապուկ-90	10,4	12,5	100	
				46.000	Սև շապուկ-90	0	23,9	Սև շապուկ-90	0	0	0	31,4	23,3	61,6	Սև շապուկ-90	53,3	20,0	100	
				46.000	Սև շապուկ-90	0	25,1	Սև շապուկ-90	33,3	33,3	0	31,1	25,0	66,6	Սև շապուկ-90	0	0	0	
				46.000	Սև շապուկ-90	0	25,1	Սև շապուկ-90	0	0	0	30,2	0	66,6	Սև շապուկ-90	0	0	0	
				46.000	Սև շապուկ-90	0	25,4	Սև շապուկ-90	78	0	0	29,4	25,0	86,0	Սև շապուկ-90	0	0	0	
				46.000	Սև շապուկ-90	0	25,4	Սև շապուկ-90	10-11	0	0	29,4	25,0	66,6	Սև շապուկ-90	0	0	0	
				46.000	Սև շապուկ-90	0	26,6	Սև շապուկ-90	0	0	0	26,6	27,3	75,0	Սև շապուկ-90	0	0	0	

მიეკუთვნება, მაგრამ პროდუქტიულობას ინარჩუნებს; ასეთი ჯიშები არიან: ჯიშები — ვინ-ტუტ, აზერბ-22, ზაირ-ტუტ, სელ-58, სელ-90, კარაგეზ-ტუტ და სხვა.

შედარებით გამძლე ჯიშები ზღუდავენ ინფექციის გავრცელებას სისწრაფეს და ხელს უწყობენ მოსავლის შენარჩუნებას: ჯიშები — ვინ-ტუტ, აზერბ-22, ზაირ-ტუტ, სელ-58, სელ-90, კარაგეზ-ტუტ და სხვა.

გამძლეობის ჯიშების შექმნამდე შეუძლიათ დიდი პრაქტიკული სარგებლობის მოტანა, რადგან დიდად ზრდიან ქიმიურ და აგროტექნიკურ ღონისძიებათა ეფექტს.

აზერბაიჯანის ჯიშებიდან გამოყოფილი გამძლეობის დონორები გამოყენებული უნდა იქნეს როგორც გენოფონდი ახალი, ფოთლის სიხუტუქისადმი მაღალი გამძლეობის ჯიშების მისაღებად და აგრეთვე თესლით და უშუალოდ გამრავლებინათვის (მყნობით, დაჯალმებით).

დასკვნა

1. აზერბაიჯანის სსრ 47 ჯიშიდან, რომლებიც იცდებოდა მკაცრ ბუნებრივ-პროვოკაციულ პირობებში, იმუნური არც ერთი არ აღმოჩნდა; 2-შია ჯიშმა გამოავლინა გამძლეობა, 15 ჯიშმა — შედარებითი გამძლეობა, 17 ჯიშმა — საშუალომიმდებიაობა და 12 ჯიშმა — ძლიერმიმდებიაობა.
2. აზერბაიჯანის ჯიშებიდან გამოყოფილი გამძლეობის დონორები გამოყენებული უნდა იქნეს სელექციაში, რომლებსაც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ ახალი, ფოთლის სიხუტუქისადმი გამძლე ჯიშების შესაქმნელად. გარდა ამისა მათ უნდა მიეცეთ უპირატესობა უშუალო გამრავლებინათვის (ჯირტით, კალმით მყნობით და დაჯალმებით).
3. ჰიბრიდული მეთესლეობისათვის და თესლის უშუალოდ გამრავლებინათვის გამოყენებული უნდა იქნეს შემდეგი ჯიშები: ანა-ტუტ, აზერბ-21, აზერბ-66, აზერბ-10 და სხვა.

ლიტერატურა — Литература

1. Н. И. Вавилов. Закономерности в распределении иммунитета растений к инфекционным заболеваниям. В книге «Проблемы иммунитета культурных растений». Изд. Ак. Наук СССР, 1936.
2. Д. Г. Гиоргадзе. Выявление переносчика курчавой мелколистности шелковицы и изучение его взаимосвязей с возбудителем. Автореферат на соискание ученой степени канд. биолог. наук. Тбилиси, 1972.
3. Дой, Иора, Асуяма, Теренака. Возбудитель карликовой болезни шелковицы (Япония). Информация на между-

народной научно-технической конференции по шелководству в Испании, 1967.



4. Г. Э. Звиададзе, М. Д. Чадунели. Отчет делегации, командированной МСХ СССР в Японию для ознакомления с постановкой по изучению заболевания шелковицы «карликовостью» в Японии и методами борьбы с ней (17—XI—9—X—1971 г.).
5. Ишиизэ. Болезнь курчавости листьев (карликовость) шелковицы. Жри. «Нихон секубуцу», 1965, т. 31 (Юбил. номер) Япония.
6. Ишиизэ, Кавакита и Окамура. Эксперименты по заражению шелковицы карликовой болезнью путем прививки.
7. Исидзима, Такаси. Изучение передачи карликовости шелковицы и борьба с нею.
8. М. А. Какулия. Первые результаты исследований курчавой мелколистности шелковицы в Грузии. Тр. Груз. с/х института, том LXXXIV, 1972.
9. М. А. Какулия. Устойчивость сортов шелковицы к курчавой мелколистности. Жри. «Шелк», № 4, 1969.
10. М. Ф. Чадунели. Материалы к изучению курчавой мелколистности шелковицы. Тр. Груз. с/х института, т. LXXXIV, 1972.
11. А. А. Ячевский. Перспективы современных фитопатологических исследований в области иммунитета и профилактики растений. Тр. Всесоюзного съезда по генетике, селекции, семеноводству и племенному животноводству. Л., 1929.



УДК 634.38

ზ. ფუტყარაძე

თუთის ფოთლის სიხუტუბის გავლენა ნუკლეინის მჟავების მებაჟოლიზაზე

უკანასკნელი წლების მონაცემებით ნუკლეინის მჟავებს მიეკუთვნება გადამწყვეტი როლი მაკრომოლეკულების, მათ შორის ცილების სპეციფიური ბიოსინთეზის უზრუნველყოფაში, რომელიც ითვლება სასიცოცხლო პროცესების მატრიალურ სუბსტრატად. ცილებას სპეციფიური ბიოსინთეზში მატრიკის როლს ასრულებს საინფორმაციო რიბონუკლეინის მჟავა (რნმ), ხოლო ადაპტორისას დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა (დნმ), რომელსაც გადააქვს გააქტივებული ამინომჟავე ბი [5].

ლიტერატურაში მცენარეების პარაზიტებით დაავადებისას აღნიშნულია გარკვეულ ცვლილებები ნუკლეინის მჟავების მებაჟოლიზაში [6].

ტ. შიმომურას და ტ. ჰირაის მონაცემებით [8] თამბაქოს მოზაიკით დაავადებული თამბაქოს და პომიდორის ფოთლები მეტი რაოდენობით შეიცავენ რნმ; ვიდრე სალი.

პაული [7] აღნიშნავს, რომ თამბაქოს მოზაიკით ან კარტოფილის X ვირუსით დაავადებული თამბაქოს მცენარე შეიცავს ყოველთვის მეტი რაოდენობით რიბონუკლეინის მჟავას, ვიდრე სალი.

კოსტინის, ომელჩენკოს და სხვათა [1] მიერ დადგენილია დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის რაოდენობის მომატება კარტოფილის ფოთოლზე ვევიას ვირუსით დაავადებისას.

რენგრადას [2] კარტოფილის სხვადასხვა ვირუსით დაავადებისას განსხვავებული სურათი აქვს მიღებული ნუკლეინის მჟავების შემცველობაში, სახელდობრ, კარტოფილის ფოთოლზე ვევიას ვირუსით და ზოლიანი მოზაიკით დაავადებისას აღინიშნება რიბონუკლეინის მჟავას საერთო შემცველობის გაზრდა, ხოლო გოტკით დაავადებისას განსხვავება საღსა და დაავადებულს შორის არ აღინიშნება.

იპონურ ლიტერატურაში [4], ასევე ვხვდებით მონაცემებს თუთის მიკოპლაზმური დაავადების — ფოთლის სიხუტუბით დაავადებისას ნუკ-



ლეინის მკვებების შემცველობის შეცვლაზე. მათი მონაცემებით, თუთის სიხუტუპით დაავადებულ ხის ფოთლებში ნუკლეინის მკვებების შემცველობა უფრო ნაკლებია, ვიდრე საღში. ანალოგიური გამოკვლევები ჩატარებული აქვს სიგიურას [3] თუთის საღ და დაავადებულ ფოთლებში და მიღებული აქვს იგივე შედეგები.

ჩვენი მუშაობის მიზანი იყო შეგვესწავლა საქართველოს პირობებში სათურის ფოთლის სიხუტუპის გავლენა ნუკლეინის მკვებების შემცველობაზე დაავადებისადმი სხვადასხვა გამაღვობის თუთის ჯიხეით.

კვლევის მასალად აღებული გვექონდა შედარებით გამსლე ჯიშ ოშიმას და მიშლებიან ჯიშ მცხეთურის საღი და დაავადებული მცენარეები, რომლებიდანაც იარუსების მიხედვით ვიღებდით ფოთლის საშუალო ნიმუშს. ესაზღვრავდით რიბონუკლეინის და დეზოქსირიბონუკლეინის მკვებების შემცველობას საღ და დაავადებულ ფოთლებში სადოესკისა და სტეინერის მეთოდით [9].

შედეგები მოტანილია 1-ელ ცხრილში.

ამ ცხრილის მონაცემების მიხედვით, რიბონუკლეინის მკვების რაოდენობა შედარებით გამსლე ჯიშ ოშიმას საღ მასალაში მნიშვნელოვნად სჭარბობს დაავადებულს (37,9%). იგივე აღინიშნება დეზოქსირიბონუკლეინის მკვების შემცველობაშიც (მატება 47,7%).

როგორც ჩანს, დაავადების შემთხვევაში ხდება რნმ-ის სინთეზის ინჰიბირება, რაც იწვევს შესაბამისად დნმ-ის რაოდენობის შემცირებასაც.

ცხრილი 1

ნუკლეინის მკვების შემცველობა სიხუტუპით დაავადებულ თუთის ფოთლებში

ჯ ი შ ი	გ. სინჯე		ინდექსი რნმ/დნმ
	რნმ	დნმ	
ოშიმა—საღი	42,3	41,3	1,01
ოშიმა—დაავადებული	26,3	21,9	1,20
შეთარღებითა %			
ოშიმა—საღი	100	100	
ოშიმა—დაავადებული	62,1	52,3	
მცხეთური—საღი	35,7	56,1	0,63
მცხეთური—დაავადებული	41,1	48,4	0,84
შეთარღებითა %			
მცხეთური—საღი	100	100	
მცხეთური—დაავადებული	115,1	85,7	

რწმ და დწმ რაოდენობათა ერთმანეთთან შეფარდებისას რწმ-ის
რომ დაავადებულ მასალაში რიბონუკლეინის მჟავას რაოდენობა
ბობს დეზოქსირიბონუკლეინის მჟავას რაოდენობას, ხოლო საღ მასალა-
ში ორივე თითქმის თანაბარია.

ამავე ცხრილში მოცემულია დაავადებისადმი მიმდებარე ჯიშ მცხე-
თურის ფოთლებში ნუკლეინის მჟავების განსაზღვრის შედეგები. ცხრი-
ლში მოცემული შედეგების მიხედვით „მცხეთურის“ დაავადებულ მასა-
ლაში რწმ-ის რაოდენობა მეტია, ვიდრე საღ მასალაში, ხოლო დწმ-ის
შემთხვევაში საწინააღმდეგო სურათს აქვს ადგილი, კერძოდ, დწმ-ის რა-
ოდენობა დაავადებულში უფრო მცირეა საღ მასალასთან შედარებით.


მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვევაარადოთ, რომ
დაავადებულ მასალაში რწმ-ის რაოდენობის მატება „მცხეთურის“ შემთ-
ხვევაში შეიძლება განპირობებული იყოს ერთის მხრივ მიკოპლაზმის
რწმ-ის დამატებით ფოთოლში უკვე არსებულ რწმ-თან, ან თვით მცენა-
რის რწმ-ის შემცველობის გაზრდით, ხოლო რაც შეეხება დწმ-ის რაო-
დენობის შემცირებას, როგორც ჩანს, აქ უკვე ადგილი უნდა ჰქონდეს
დწმ-ის სინთეზის დათრგუნვას, რაც შეიძლება გამოიწვეული იყოს მიკო-
პლაზმის გავლენით.

დასკვნა

ფოთლის სიხუტეებით დაავადებისას ადგილი აქვს დარღვევებს ნუკ-
ლეინის მჟავების მეტაბოლიზმში, დაავადების შედეგად შედარებით
გამძლე ჯიშ ოშიმაში სუსტდება ნუკლეინის მჟავების სინთეზი, ხოლო
მიმდებარე ჯიშ მცხეთურში რწმ-ის სინთეზი გააძლიერებულია.

ლიტერატურა — Литература

1. В. Д. Костин, В. Т. Омельченко. О природе вируса скручивания листьев картофеля и методах его диагностики. Вирусн. болезн. с/х раст. и меры борьбы с ними. Тр. V Всесоюзн. совещ. по вирусн. болезн. раст. Киев, 1966.
2. Г. А. Рейнград. Изменение содержания рибонуклеиновой кислоты у готичных и содержащих х, у, и S вирусы растений картофеля. Вирусные болезни с/х культур и меры борьбы с ними. Изд-во «Колос», М., 1964.
3. С и г и у а. Материалы научно-исследовательской лаборатории Жрн. «Шелководство Японии.» т. 29, № 4, 1960.
Кюсю по изучению болезней растений, 1963, 2. 98.

- 
4. У. Такамура, Т. Шимомура, Т. Харай. Содержание нуклеиновых кислот в листьях шелковицы, пораженных гартликовой болезнью. Фитопатологический журнал ³⁸ (перевод) ³⁸
 5. Ю. Б. Филиппович. Основы биохимии. Изд. «Высшая школа», М., 1969. ³⁸
 6. Чакраворти, Арун К., Шоу Мишель. Роль РНК в специфическом взаимодействии хозяин — паразит. Р. Ж. Физиология растений. 2Г, 364, 1979.
 7. Paul H. Z. Spektralphotometrische Untersuchungen über der virus vermnhrung in Tabak Phytoph. Z. 28. 1957.
 8. Shimomura T. and Hirai T. Nature of virus infection in plants. II changes in the amounts of phosphorus compounds of leaves in various fractions during infection virus (Osaka) 6, 1956
 9. Sadovski D., Steiner L, Electron microscopic and biochemical characteristics of nuclei and nucleoli isolated from rat liver- L cell Biological 1962, v. 36, №1 pp 147-150.
-



УДК 634.38

Ю. К. ОНИАНИ

РЕЗУЛЬТАТЫ ФЕНОЛОГИЧЕСКИХ НАБЛЮДЕНИИ НА НЕКОТОРЫХ СОРТАХ ШЕЛКОВИЦЫ

Фенологические наблюдения известны с древнейших времен. История его развития рассмотрена Г. Шульцом и Шамравским.

